# სახალხო გაზეთი

№ 1187 ხუთშაბათი, 15 მაისი 1914 წ. № 1187

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუშტაიდის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ელაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.**

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

## ამ ნომერში ექვსი გვერდია

**დღესასწაულისა გამო „სახალხო გაზეთის“ შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 17 მაისს.**

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 15 მაისს, 1914 წელს გაიმართება

## ი. ევდოშვილის საღამო

შემდეგის შინაარსით:

I

## ლ ე ქ ც ი ა

**გერონტი ქიქოძე** წაიკითხავს ლექციას **„ბელგიელი მოქანდაკე კონსტანტენ მენიე“.** **ლექციის დროს ნაჩვენები იქმნება ბუნდოვანი ფარნით მენიეს ქანდაკებანი:** 1) ქარხნის მუშა, 2) მაღაროდან ამოსვლა, 3) დაკარგული შვილი, 4) მწყურვალი მუშა, 5) მთამადნის მაღაროების მუშა ქალი, 6) მკა, 7) მრეწველობა, 8) ნავთსადგური, 9) მაღარო, 10) მთესველი.

II

## „რაც არ მერგება არ შემერგება“

1 მოქმ. ვოდევილი გუნიასი.

**მონაწილეობენ:** ქ-ნები ლიზა ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე, ბ-ნნი: ვასო აბაშიძე, ა. ადამიძე, ს. ივანიძე, ს. ქავიძე.

III

## სალიტერატურო განყოფილება

მონაწილეობენ: სოფრონ მგალობლიშვილი, ნ. გოცირიძე, ადამ ადამიძე, ვ. გ. მაჩაბელი.

IV

## საკონცერტო განყოფილება

**მონაწილეობენ:** ვანო სარაჯიშვილი (იმღერებს რომანსებს), სადირაშვილი (დაუკრავს თარზე), მიხეილ კავსაძის ქართული გუნდი (შეასრულებს ქართულ სიმღერებს). აკომპანიმენტს დაუკრავს კნ. მარგარიტა ანდრონიკაშვილისა.

**დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.** **ფასები ჩვეულებრივია.**

ბილეთები თეატრის კასაში უკვე იყიდება. 1198

**ძ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ძალ. სახალხო სახლი**

**სახ. სახ. არს. ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ ალ. იმედაშვილის მონაწ. შაბათს, 17 მაისს, წარ. იქნება პირველად ახალი ორიგინალური პიესა ტრ. რამიშვილისა:**

1) **დედინაცვალი,** დრამა 3 მოქ. ✦ 2) **სიმართლე,** შარჟი 1 მ. ლიბერმანისა თარ. მ. ქორელისა.

მონაწილეობენ ქ-ნნი: არაბიძე, კახელი, კორინთელი, რომანიშვილისა, რუისპირელი, ყიფშიძე, ციმაკურიძე. ბ-ნნი: ივანიძე, გოცირიძე, კავსაძე, მინდიაშვილი, მეტრეველი, ნინიძე, სალაყაია, სტურუა, ქუმბურელი, ჯაბაური.

ადგილების ფასი 5—50 კ. ✦ დასაწყისი საღამ. 8-ნახევარ საათზე.

რეჟისორი **ალ. წუწუნავა,** რეჟ. თანაშ. **ალ. ზუზუშვილი.**

შემდეგი წარმ. 31 მაისს. ქართ. სახ. წარ. მმარ. წრის ადმინ. 1199

## სომეხ-მწერალთა

## კავკასიის საზოგადოების გამგეობა

იუწყება, რომ **15 მაისს,**

## აკურთხებენ

## საიათ-ნოვას

## ძეგლს, მისს სამარეზე დადგმულს,

**წმ. გიორგის (მოედანზე) ეკლესიის ეზოში,**

**დღესასწაულის პროგრამა:** ამქრები თავ-თავისი დროშებით გაემართებიან სახელოსნო სამმართველოდან (ნერსესიან სემინარიის ძველი შენობა) სომეხ-მწერალთა კავკასიის საზოგადოების კანტორაში (აბას-აბადის მოედანი), სადაც იქნებიან დილის 11 საათზე. აქვე თავს მოიყრის პრესისა და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლები, მზრუნველები, მასწავლებლები და მოსწავლენი. 11-ნახევარ საათზე იქიდან პროცესია გაემართება წმ. გიორგის ეკლესიისაკენ (მოედანზე), გაივლიან შემდეგ ქუჩებს: შულკოვნიკოვისას, არღუთინსკისა და მოედანზე გადაივლიან. სწორედ 12 საათზე, როცა პროცესია აღნიშნულ ალაგს მიაღწევს, დაიწყება **ძეგლის კურთხევა.** სომეხ-მწერალთა კავკასიის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე გახსნის ამ დღესასწაულს, შემდეგ პანაშვიდს გადიხდიან, რის შემდეგაც მოკლე-მოკლე სიტყვები წარმოითქმება, რაც დელეგატებმა ადრევე უნდა აცნობონ საზოგადოების თავმჯდომარეს.

დღესასწაულზე დამსწრეთ ვსთხოვთ—დღესასწაულზე მობრძანდნენ საიათ-ნოვას საყვარელ ფერის ყვავილით—ამ დღის ემბლემა—**ალის-ფერ** 1209

## ახლად გაიხსნა

## სასტუმრო სასადილო

## „ს ი ნ ა თ ლ ე“

საუცხოვო ახალ-ახალი სანოვაგე. ცოცხალი თევზი. სტუმრებისადმი ზრდილობიანად მოპყრობა. ნადიმის გაგრძელება ღამის ორ საათამდის. ნიკოლოზისა და ნეკრასოვის ქუჩა.

ყოფილი „ს ი ც ი ლ ი ა“ და „ა რ ა რ ა ტ ი“

1077 პატ. ცემით ძმ. ხულაშვილები იგივე „ქოსები“.

## მ ს უ რ ს

პრაქტიკის გულისთვის რამოდენიმე თვე

## უსასყიდლოდ ვიმუშაო

ბანკებში, საკრედიტო, საზოგადო, სავაჭრო-სამრეწველო და სხვა დაწესებულებებში (სადაც უნდა იყოს). მაქვს საბუღალტრო კურსი დამთავრებული ხუთიანზე, კარგი წერა და აგრეთვე შემიძლიან გადამწერ მანქანაზე მუშაობა. გაჩოჩენილ პირთა რეკომენდაცია ნდობის მხრივ. ადრესი იკითხეთ „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში. 1205

## სანატორიუმი

## „რუსული დავოსი“,

**აბასთუმანში.**

**ტუბერკულოზის, ხახა-ნაკლებთა, დაქანცულთა და ძვლების სნეულებათ ახლად დაავადებულთათვის.** საუცხოვო განმარტოვებული მზიანი, უქარო ადგილი ფიჭვნარიან ტყეში. სანატორიუმთან მოწყობილია საკუთარი რენტგენის კაბინეტი. ყველა თანამედროვე ფიზიკური წამლობა, ჰიგიენა-დიეტაზე დამყარებული, სპეციფიური წამლობა ტუბერკულინით, ხელოვნური პნევმოტორაკსი და ტყირპის წამლობა რენტგენის სხივებით. საკუთარი მერძეობის ფერმა. სრულის პანსიონით სამკურნალო ხარჯ-მეგლით და სხვა თვეში 120—200 მ. ✦ დაწვრილებითი ცნობებისათვის მიჰმართეთ **სანატორიუმის დირექტორს ექიმს გ. მიზრაბიანცს,** აბასთუმანში. ზღვის ზედაპირიდან 1273 მეტრ. ტფ. გუბერ. 1087

## გორის პირველი კერძო

## სამკურნალო

**ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.**

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

**გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:**

**კობერიძე მ. ს.** ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

**წინამძღვარიშვილი მ. დ.** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

**მეხიშვილი ს. ს.** ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**ბრიუკნერი გ. გ.** თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

**ბინზბურგი ა. ლ.** კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

**რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.**

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა **წამლობა „606“, „914“.** 1088

## ვაგზლის სამკურნალოში

**(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)**

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

**ნათიშვილი**—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

**მინასოვი**—ქირურგი, 11—12 საათამდე.

**პაპოვი**—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—$11^1/_2$ საათამდე.

**ციციშვილი**—შინაგანი და ნერვების 12—1 საათამდე.

**ექ. ქალი იოსელიანი**—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—$11^1/_2$ ს.

**სამხედრო ექ. კლდიაშვილი**—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 12—1 ს.

**გაჩაკიძე**—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.

**რჩევის სასყიდელი—50 კაპ.**

## წამლობა „914“ და „606“.

1023

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მაჩეილის პროსპექტისა და მიტროფანის სასტუმროს ახლო.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახებით განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—1. ს.<br>**ფიდოროვი ი. გ.** ყოველ დღე, 11—12.<br>**ქიქალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარქოზოვი გ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **მერაბიშვილი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თოქანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—1.<br>**ფიდოროვი გ. ს.** ყოველ დღე 11—2.<br>**ქიქალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს. |
| ნერვიულ სნეულებ. და ფსიქ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოევი გ. ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყურ. ცხვ-რის და ყელ. ს., | **ათინიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. ძუძუიანობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული, ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი სასყიდლით. წ. 1070

ტფილისის ქართული დრამატიული

## საზოგადოების გამგეობა

აცხადებს, რომ

## ქართველ სცენის მოღვაწეთა პირველი

## ყრილობა

შესდგება ქ. ტფილისს, ქართულს თეატრში, **კვირას, 25 მაისს, 1914 წ., დილის 12 ს. ყრილობაში მონაწილეობა გადამწყვეტი ხმით შეუძლიანთ:**

1) ქართ. დრამატ. საზოგადოებათა წარმომადგენელთ.
2) ქართ. დრამატ. წრეებისა და ჯგუფების წარმომადგენლებს.
3) მსახიობთა და სცენის მოყვარეთ.
4) სცენის მოღვაწეთ, რომელთაც კი რამე დამსახურება მიუძღვით თეატრისადმი, ან რამე დამოკიდებულება აქვთ მასთან.
5) მომხსენებელთ, რომელნიც რამე მოხსენებას წარმოადგენენ პროგრამაში აღნიშნულს კითხვებზედ.
6) მუსიკოსთ, მოქანდაკეთა და მხატვართ.
7) დრამატურგებსა და მთარგმნელებს.
8) ბეჭდვით ორგანოთა წარმომადგენლებს.
9) დრამატიულ საზოგადოებათა წევრებს.

ყოველი წევრი იხდის: მსახიობნი და სცენის მოყვარენი—1 მ., დანარჩენნი—2 მ. მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ პირადად და წერილობით ტფილისის დრამატ. საზოგად. კანტორასთან არსებულს მიმღებ კომისიაში **20 მაისამდის.** ამ დრომდისვე მიიღება ყველა მოხსენებანი. 1193

## ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი

**(საზაფხულო შენობა).**

პარასკევს, 16 მაისს, წარმოდგ. იქნება

## „ღამე... მთვარე... და სიყვარული“,

ოპერეტკა 1 მოქ. გრესერისა.

2) **„ლამაზი ლიზეტა“,** ოპერეტკა 1 მოქ. სტრუისკისა.

3) **უცვალმაქცი ვალსი,** ოხუნჯური მუსიკა ერთ მოქმ. შმიდტგოფისა.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: ვლასოვისა, ლენინისა, ანდრიევსკაია. ბ-ნნი: ირანსკი, კარპენკო, ანტონოვი და სხ.

რეჟისორი ირანსკი. დასაწყისი 9 ს. საღამ.

ადგ. ფასი პარტ. 30 კ. 1 მ. 50 კ., ქანდარ. ყველასათვის ხელმისაწვდომია 15—30 კ., სტუმ. იხდიან კლუბ. შეს. კაცი 50 კ., ქალი ￼და სტ. 25 კ. 1155

## ღარიბ-მოწაფეთა შემწე

## ტფილ. გუბერნიის თავად-აზნაურთა

## საზოგადოების წევრთა

## წლიური კრება

**შესდგება მაისის 15-ს, დილის 11 საათზე, ქართულს გიმნაზიაში.**

განსახილველია:

113 წლის ანგარიში.
1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
სასწავლო ადმინისტრატიული კითხვები.
და გამგე კომიტეტის არჩევა.

1913 წლის ანგარიშის მიღება შეიძლება ქართულს გიმნაზიაში და წ. კ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. 2210

**ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლში**

**პარასკ., 16 მაისს,**

**„ტფ. ქართვ. მოყვარულთა მომღერალ-მგალობელთა გუნდი“,**

**ალექსანდრე მაისურაძის** ლოტბარობით გამართავს პირველად

## დიდ სახალხო კონცერტს,

4 განყოფილებად,

**გუნდის ფონდის გასაძლიერებლად.**

30 კაცისაგან შემდგარი გუნდი პირველს განყოფილებაში ქულაჯებით გამოწყობილი, შეასრულებს ხალხურ სხვა და სხვა სიმღერებს, ხოლო ბოლო განყ. გლეხურად გამოწყობილი შეასრულებს სცენებს სოფლის ცხოვრებიდან, ფოl-ოს „გადმიშვი მთაო“, და სხ. კონცერტის დაწყებამდე ბ-ნი **გ. ჟორდანია** წაიკითხავს **ლექციას** „ქართველ გლეხის ყოფა-ცხოვრება ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებში“. კონცერტი დასრულდება სიმღერათამაშით და „ზურნით“.

ბილეთ. იყიდ. თეატრის კასაში. ფასები 10—75 კ. დასაწყ. საღ. 8-ნახევ. ს. დაწვრილებით პროგრამებში.

**გამგეობა გუნდ.** კ. მუხრანსკი, მ. ქავთარაძე, შ. ჯავახიშვილი, ვ. ჯავრიშვილი. 333

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

**ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების გამოცემა**

## ი. გრიშაშვილი

**წიგნში მოთავსებულია დღემდე დაწერილ-დაბეჭდილი ყველა ლექსი.**

**ფასი ერთი მანეთი**

ვინც არა ნაკლებ 5 ცალისას იყიდის ან დაიბარებს, დაეთმობა 20 პროც. წიგნის გამოწერა შეიძლება ამ ადრესით:

ადრესი: Тифлисъ Книж. магазинъ О-ва грам. ср. гр. рас. 1072

**ელექტრონის, რენტგენის, სინათლის**

## ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

**საწოლი ოთახებით**

## მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.

# საქალაქო პარკი ვერაზე

პირველ-ხარისხოვანი
რესტორანი
ტელეფონი № 14—66
სამზარეულო აზიური და ევროპიული.
**მიიღება დაკვეთა სადილების, ვახშმების და სხვა.**

ყოველ დღე სად. 7 ს. ღამის 2 საათამდე, ხოლო კვირაობით კი ნაშუადღევის 2—5 საათამდე და ღამის 10—2 საათამდე,
**უკრავს საკონცერტო სიმებიანი ორკესტრი**
საუკეთესო სოლისტებით, თავისუფალ ხელოვანის
**ლ. სტუპელ-ის**
ხელმძღვანელობით.

ნავებით სეირნობა

## დიდი ცირკი ფ. ა. იუპატოვისა

**მიხეილის პროსპექტზე, მუშტაიდთან.**
დღეს, 15 მაისს, გაიმართება
2 ბრწყინვალე სადღესასწაულო
წარმოდგენა

სრულებით განახლებულის პროგრამით და ცირკის საუკეთესო ძალთა მონაწილეობით. დღეის გარდა ეგვიპტელი **ალი** მხოლოდ ერთს გასტროლზე დარჩება. ვისაც ალი არ უნახავს, ჰკითხოს იმას, ვისაც უნახავს. ალი დღეს სრულებით გააშტერებს მაყურებელთ თავისი ახალი ოინებით! დღეს ალი გადაჰყლაპავს ორ ფერად სალებავს, დაჰლევს 30 ჭიქამდე წყალს და მერე, საზოგადოების სურვილისამებრ, იმ ფერის წყალს შადრევანივით ამოუშვებს, რომელსაც მოსთხოვენ. დღეს მონაწილეობენ პრიმა-ბალერინა ქ-ნი ელენე იუპატოვი, მუსიკალური ექსცენტრ. როზეტები, ინგლისელი ჟოკეი. და ფენომ. „ელვის ხალხი" **ჯამბაზი** როსინებისა და მრავ. სხვანი. დღეს, დღისით ისეთი წარმოდგენა გაიმართება, რომლის მსგავსიც **ჯერ** არასოდეს არ ყოფილა! დღისით წარმოდგენა დაიწყება ნაშუადღ. 2 საათზე. დღეს ალი მონაწილეობს საზოგადოების თხოვნით. დღისით პროგრამა საკმაოდ მრავალ-ფეროვანია. დღისით ფასები დაკლებულია. საღამოთი ალი გამოვა 10-ნახევარ საათზე.

ცირკის დირექტორი **ფ. ა. იუპატოვი.** გამგე **ლ. მ. ხუნდაძე.**
დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. 340

**ძმ. ზუბალაშვილების სახ. სახალხო სახლი**
დღეს, 15 მაისს, გაიმართება **მეტად საინტერესო**

## დილა

შემდეგის პროგრამით:

**ლექტორი მ. წულუკიძე** წაიკითხავს **ლექციას** შემდეგ თემაზე: „თანამედროვე ქართული ლიტერატურა: მე-20 საუკუნის დასაწყისი—მოდერნიზმი, დეკადენტური მიმართულება, სიმბოლიზი—ნიცშე, პშიბიშევსკი. იდეა ზეკაცისა. გავლენა ქართულ ლიტერატურაზე. ა. შანშიაშვილი, ს. აბაშელი, გ. ქუჩიშვილი, ი. გრიშაშვილი, ნ. ჩხიკვაძე, ბელეტრისტები. დრამა, ი. გედევანიშვილი და სხვა, **დასკვნა.**

II) **სალიტერატურო ნაწილი,** რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: პ. ირეთელი, გ. ქუჩიშვილი, ნ. ჩხიკვაძე, ს. ერთაწმინდელი, ალ. მეტრეველი, ვ. მინდიაშვილი, გ. ანაშვილი, ს. რომანიშვილი, ვ. ნინიძე, და სხვ. ურუშაძე წაიკითხავს საკუთარ გურულ სცენებს.

III) **საკონცერტო განყოფ.,** რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი: ან. რაზმაძე (იმღერებს ურმულს), სიხარულიძე, დ. ლეჟავა, შულცი, ძიმისტარაშვილი (სხვათა შორის იმღერებს, „გენაცვალეს"), და სავიცკი.

ადგილების ფასი 5—50 კ. ბილეთ. იყიდება თეატრის კასაში.
350 დასაწყის შუადღ. 12-ნახევარ ს. ადმინისტ. **გ. ნინიძე.**

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის
სამკურნალო
ქალ. ბაქოში
მუდმივ საწოლებით:
**სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის**
**ფასი მორიგებით.**
ადრესი: Баку, магазинная, № 50.
1084

## საპურთალოზე

**მშვენიერ ალაგას**
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ თელავს ქუჩაზე, სახლი № 6, სოლოლაკში იოანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

**ექიმთა საზოგადოების**
სამკურნალო
**მუდმივ საწოლებით.**
(მიხეილის შესახვევი № 49 და რეუტოვის ქუჩის შესახვევი № 2.
**ტელეფ. № 1026.**
**ავადმყოფების მიღება:**

**აგაჯანოვი მიხეილ** — საშარდე, სიფილის. და კანის სნეულ. 11—12 ს.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგ., ნერვ. და სულის სნეულ., ელექტროტერაპია, 11—12 ს.-დე.

**ელჩიევი მ. რ.**—ყურ., ცხვირ. და ყელისა, 12—1 ს.

**ელჩიევი ლ. რ.**—ქალის სნეულ. და ბებიობა. 12—1 ს.

**კიმონტი მ. პ.**—სადოსტაქრო სნეულებანი 11—12 ს.

**მაზაკიანი მ. ნ.**—შინაგანი და ბავშვებ., სნეულ., სპეციალურად კუჭისა და ნაწლავ., 1-ნახ.—12-ნახევარ ს.

სამკურნალოში ჰწამლობენ ელექტრონით, მასაჟი, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა, ძიძების გასინჯვა. რჩევის ფასი 1 მან., ოპერაცია, კონსულტაცია, მორიგებით. სტაციონალური (საავადმყოფო) განყოფილება სიერთოთ პალატისაგან შესდგება.

ტელეფონები „914", „606". 1040

## სამკურნალო

**სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა**
გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ.-ბაღ. მახლობლად
ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება: დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

**ახვლედიანი**: შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

**ბელანჟე.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

**ბოლოთვსკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევა**—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვორობიოვა**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

**ვოლკოვი**—ქირურგ. ავადმყ, ყოველ-დღე 11—12 ს.

**შამაშა,** სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

**ახმეტოვი**—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავადმ. ყ.-დღე 1—3 ს.

**რუდენკო.** შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

**ჩუდნოვსკი**—ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**მხიტარიანი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**ნოვიცკი.** ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

**კალამკაროვა.** ბებია, ქალური სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**ეგ. ქალ. თოხვლიანი.** ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**ზეინძე**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**ხოდნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ. და კვ., 4—5 ს.

**ბაგდოევა**—კბილ. იღებს ყ.-დღე დილის 10—11 ს.

**სათვალეების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეებით გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1082

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.** **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. იღებს ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სფოსტო განყოფ. პირდაპირ.

**ექიმი მ. ნ. მაზაკიანი** **გადავიდა** ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38.
**შინაგანი ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების ავადმყოფობანი. ელექტროთერაპია** იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388.
1053

**ექიმი ფ. ა. მიქელაძე** მიიღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე** საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილის პროსპექტი № 117 ტელეფონი 8—16

**ქ. გორში**
**ექიმი** (დოკტორანტი). **მ. დ. წინამძღვრიშვილი**
ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
**შინაგანი** და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი **გულისა, ფილტ.** და **სისხლის** სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამედო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდ. 1050

**ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი**
**გ. გ. მეგრაბიანცი**
**იღებს სანატორიუმ „რუსული დავოსში", აბასთუმანში,**
შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა და აგრეთვე ლვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღ. 5—7 ს.-დე. კვირაობით დილ. 9—1 ს.-დე. 1516

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი**
**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.**
იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12; **აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 1011

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე ნაშუადღ. 2—3 საათ., საღ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილის 8—9 ს., კვირ. ავადმ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

**ექიმი ს. გ. მამრაძე**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება (**ქალთა და სამშობ. სნეულებანი**).
ავადმყოფებს მიიღებს ნაშუადღევის 1—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ვერის დაღმართი სახლი № 5. ბინა 5. 1244.

## ტფილისი, 15 მაისი

**მეხილეთა ამხანაგობა ქართლში.** ქართლი თანდათან მეხილეობის რაიონად ჰხდება. ადგილობრივი გაზეთების კორესპონდენტები თითქმის არავითარ ცნობებს არ იძლევიან იმ ცვლილებათა შესახებ, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ სამეურნეო დარგში ჰხდება, მაგრამ კანტი-კუნტად მაინც მოდის ცნობები, რომ ძალიან ბევრს ადგილას სოფლის მეურნენი ხვნა-თესვას თავს ანებებენ და უმაღლესი კულტურის მეურნეობაზე გადადიან. ამ რამდენიმე წლის წინად ხილის ბაღი ერთ ან ორ მეურნეს თუ ჰქონდა. ასეთები თითით საჩვენებლები იყვნენ. დღეს ხეხილის ბაღის გაშენებამ მასიური ხასიათი მიიღო. გაჩნდა სანერგეები, რომელთაც სამრეწველო ხასიათი აქვთ. ასეთი სანერგეები გამართულია სკრაში, კასპში და ქართლის სხვა ადგილებში. ყველა ეს იმის მომასწავებელია, რომ ნამყენ ხეხილების მოთხოვნილება დღითი-დღე იზრდება.

ეს, რასაკვირველია, ძალიან სასიამოვნო მოვლენაა. მაგრამ, როგორც ახალ მოვლენას, თან ახლავს მრავალი უარყოფითი ხასიათი. მთავარი უარყოფითი მხარე ამ მოვლენისა ის არის, რომ ახალი მეურნენი ძალიან დიდ იმედებს ამყარებენ ხეხილის ბაღზე და გაზვიადებულად აქვთ წარმოდგენილი ის შემოსავალი, რომელიც ბაღს შეუძლიან მისცეს. თითქმის უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ხეხილის ბაღის გაშენება ადვილია. დარწმუნებული არიან, რომ ბაღის გასაშენებლად საკმარისია ნამყენი ჩაიყაროს და იხეიროს. მაგრამ კარგი და შემოსავლიანი ხეხილის ბაღის გასაშენებლად მარტო ეს არა კმარა. საჭიროა ცოდნა, დიდი ენერგიისა და ფულის დახარჯვაც, რომ ბაღი სასურველ ნიადაგზე დადგეს და მოიტანოს ის შემოსავალი, რომლის იმედიც ბაღის პატრონსა აქვს.

გარდა ამისა, მეხილეობის განვითარების მნიშვნელობა განახევრდება, თუ რაციონალურად არ მოეწყო ხილის გასაღება. ბაზრის აღმოჩენა, ხილის გაყიდვა კარგს ფასებში უმთავრესი ყურადღების საგნად უნდა გაჰხდეს იმისთვის, ვინც ხელს უწყობს მეხილეობის გავრცელებას. ჩვენი მებაღეები ამ შემთხვევაში ფრიად უმწეო მდგომარეობაში არიან. ჰკითხეთ უკვე დიდი ხნის მეხილეს და ის გეტყვით, რასა ნიშნავს უპატრონობა, ბაზრის გაუცნობლობა, ის გეტყვით, რანაირადა ჰყავთ მებაღეები ხელში ჩაჭერილი „ათასნაირი ჯურის შუამავლებს, რომლებიც ნახევარ ფასად და ხშირად უფრო იაფადაც იგდებენ ხელში წლის მოსავალს.

ერთად-ერთი ხსნა იმაში-ღაა, რომ მებაღეებმა შეჰქმნან ამხანაგობა, რომელიც შეერთებულის ძალით გაუძღვება საერთო საქმეს და თავიდან აიცილებს შუამავლებს. მეხილეთა ამხანაგობის დაარსება უფრო ძნელია, ვიდრე სხვა რომელიმე დარგის, მაგალ., მეღვინეთა ამხანაგობის დაარსება, რადგანაც პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ადვილად გასაფუჭებელ პროდუქტთან, რომელსაც კარგი მოვლა და ჩქარი გასაღება სჭირდება. მაგრამ, ამის და მიუხედავად, მეხილეთა ამხანაგობის დაარსება ერთად-ერთი საშუალებაა მომავალი მოსალოდნელი კრიზისის თავიდან ასაცილებლად.

ამხანაგობამ ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს არა მარტო ხილის გასაღებას, არამედ ისეთი პარალელური მრეწველობის განვითარებას, რომელიც თანა სდევს მეხილეობას. ჩვენში ძალიან ხშირად ბევრი ხილი სრულიად უსარგებლოდ ფუჭდება მხოლოდ იმიტომ, რომ ბაღის პატრონმა არ იცის, როგორ დაამზადოს კონსერვები, ჩირები და სხვა. ერთის სიტყვით, საქმე ძალიან ბევრია და ამხანაგობის დაარსებაც აუცილებელია. ამნაირი ამხანაგობის დაარსების აზრი დიდიხანია ტრიალებს მეურნეობასთან ახლო მდგომთა წრეებში. ჯერ ისევ ამ რამდენისამე ხნის წინად ქალაქ გორში გაიმართა მეხილეთა თათბირი ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თაოსნობით, მაგრამ მაშინ ამ თათბირს არავითარი პრაქტიკული ნაყოფი არ მოჰყვა. ამ ჟამად მუშაობა განახლდა და, როგორც დღევანდელ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ცნობიდან გაიგებს მკითხველი, უკვე შესდგა მეხილეთა ამხანაგობა, რომელიც სულ მოკლე ხანში მოქმედებას დაიწყებს. საჭიროა პროპაგანდა, რომ რაც შეიძლება მეტი მეურნე ჩაებას ამ საქმეში, რადგანაც შეერთებულის ძალით ყოველთვის უკეთესად კეთდება საქმე.

---

**ტფილის. სათ.-აზ. გიმნაზია.** დღეს დანიშნულია კრება ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფილისის გუბ. თ.-აზნაურთა საზოგადოებისა. ამ კრებას დიდი მნიშვნელობა აქვს; როგორც მკითხველმა იცის, ამ საზოგადოების ხელშია ორი სასწავლებელი—სავაჟო გიმნაზია, სადაც რვაასზე მეტი ბალღი სწავლობს, და ქალთა სასწავლებელი, და მისი წლიური ხარჯი უდრის ასოთხმოც ათასს მანეთს. ამჟამად საზოგადოება დიდს განსაცდელში იმყოფება. მისი გასავალი თანდათან მატულობს და შემოსავალი არ ყოფნის. საზოგადოებას მძიმე ტვირთად დააწვა უზარმაზარი საკუთარის შენობის მოვლა-პატრონობა. ამას წინად სწავლის გადასახადი გაადიდეს, ეხლა კიდევ ფიქრობენ გადიდებას. რასაკვირველია, ეს არსებითად ვერ გააუმჯობესებს საზოგადოების ქონებრივ მდგომარეობას და ვერ დაიხსნის ყოველწლიური ზარალისა და დავალიანებისაგან. დიდს შრომას და ყურადღებას მოითხოვს სწავლა აღზრდის საქმეც. განზრახულია საქალებო სასწავლებლის გადაკეთება.

ერთი სიტყვით წამოყენებულია მრავალი დიდი სერიოზული საკითხი, რომელიც მოითხოვს დინჯსა და დაკვირვებულს განხილვას. საჭიროა, რომ საზოგადოების წევრები მხურვალედ და ენერგიულად მოეკიდნენ საქმეს, ყოველმხრივ შემოუარონ საჭიროებას და ფრთხილად დაადგინენ რამე გზას. სასურველია, რომ მეთაურებადაც ისეთი ადამიანები აირჩიონ, რომელთაც ცოდნა და უნარიც შესწევთ და სიყვარულიც აქვთ ჩვენი საერთო დაწესებულებისადმი.

## ქართული პრესა

ახალციხელ ქართველ კათოლიკეების წერილის გამო, გაზეთი „აზრი" სწერს, რომ

„ძალდატანების გზას დასდგომიან ახალციხის სომეხ-კათოლიკეთა მეთაურები. ისინი ცდილობენ ქართველი კათოლიკების სომეხ-კათოლიკეებათ ჩარიცხვას და ამ გზით სარწმუნოებისა და ეროვნების გამოცვლას.

ცხადია, ასეთი ძალდატანება სომეხ პატრების საქმეა. უთუოდ ამ გზით ისინი ცდილობენ თავისი მრევლის გაფართოებას. ამით მათი შემოსავალიც იმატებს. განა ეს საკმარისი არაა მოქალაქეთა სინიდისის ფეხ-ქვეშ გასათელად და თავისუფლების შესაზღუდავად.!

შეიძლება აქ საქმე გვაქვს მებრძოლ ნაციონალიზმთან! აკი გაბატონებული კლასები მუდამ ძალდატანებას მიმართავენ სხვა ეროვნებათა დასათრგუნავად. მით უფრო სასტიკად უნდა დავგმოთ ასეთი ამხედრება მოქალაქეთა თავისუფლების წინააღმდეგ...

პოლიციური ზომებით სარწმუნოების განმტკიცება ინკვიზიციის საქმეა.

ნუ თუ სომხის კლერიკალებს ჰგონიათ, თომ შეძლებენ მეოცე საუკუნეში ინკვიზიციის გაბატონებას?

დროა, სომხის დემოკრატია შეეცადოს კლერიკალების ალაგმვას, რომელთა თარეში ქვეყანას საშუალო საუკუნოთა ბარბაროსობისაკენ მიერეკება".

⁂

ამავე წერილს ეხება „ჩვენი ერი:"

„ქართველი კათოლიკენი, რომელიც მარადის საუკეთესო ქართველებად მიგვაჩნდა და მიგვაჩნია უნდა გასომხდენ მარტო იმიტომ, რომ რამდენიმე მათგანისთვის სომხური ტიბიკონი მიუღებინებიათ და როდესაც ამ უკანასკნელზე უარს აცხადებენ, სომხის კლერიკალები სიბრაზისაგან მზათ არიან „განდგომილ" ხალხთა თავზე მეხი და გრგვინვა წარმოაგზავნონ.

ნუ თუ სარწმუნოებრივ სხვადა სხვაობაზეა დამოკიდებული ეროვნული სხვადასხვაობა? განა ქართველ კათოლიკეთა გარდა არ არიან მაჰმადიანი ქართველები და სხვა? მერე ვის შეუძლიან მათ ქართველობაში ეჭვი შეიტანოს? ესეც არ იყოს: რა უფლება აქვს ამა თუ იმ არხიმანრიტს ან მღდელს უცხო ერის წარმომადგენელთა სინიდისსა და რწმენას ასე მკაცრადა და ტლანქად შეეხოს? ჯერ ერთი რომ ტიბიკონი, სომხური იქნება იგი თუ რომაულ-ლათინური, არავის ქართველობასა და სომხობას არ საზღვრავს და მეორეც ის, რომ არც ერთი „სომხის გვარის სამოციქულო მართველს" არა აქვს უფლება წარღვნა მოავლინოს იმ ქართველთა თავსა ზედა, რომელნიც სომხის ტიბიკონს გაურბიან და მეორე ტიბიკონზე გადადიან".

⁂

გაზეთი „იმერეთი" სხვებს ჰკუას ასწავლის: ფედერალისტებმა რეაქციონერობა გამოიჩინეს, თავის უძლურება დაამტკიცეს, რომ ისტორიული საქართველო უარჰყვესო.

„სო ც. ფედერალისტების პარტიამ ვერაფერი გამონახა ისეთი, რომელიც მოიგებდა არა ქართველის გულს მომავალ ავტონომიურ საქართველოში და დაამტკიცა რა ამით, რომ იგი არ არის ჭეშმარიტი დემოკრატი, საქართველოს სამს მაზრაზე ხელი აიღო, ამით მან სრულს პოლიტიკურ კოტრობაზე მოაწერა ხელი".

წინადადებას გაძლევთ „იმერეთის" „დემოკრატებს": გამოინახონ ისეთი საშუალება, რომლითაც შეიძლებენ რომელსამე ერს ხელი აალებინონ თავის ეროვნულ ვინაობაზე. ჩვენ კი შეუძლებლად მიგვაჩნია ასეთის რისიმე გამონახვა და არცა გვსურს, რომ ვისიმე გადაგვარებას ვეძახუროთ.

⁂

„ბათუმის გაზეთი" მწუხარებით აღნიშნავს, რომ სომხის კათოლიკე სამღვდელოების მეცადინობით ბევრგან ქართველმა კათოლიკეებმა უკვე დაივიწყეს ქართული ენაო. შემდეგ ეხება ცნობილ აბრამიანის მოღვაწეობას:

აბრამიანი მოხერხებულია, იგი სომხურ პოლიტიკას აწარმოებს. რომში სწერს: ქართული ენის სომეხ კათოლიკებს (ასე ეძახის კათოლიკე ქართველებს) აღუკვებენ ლათინები და სტამბოლის ბერები. ამათ ლათინური წესი არ მიეცემათ. თუ მისცემთ ქართულ წესს, უწყოდეთ, ქართულზედ რუსეთის მთავრობა ხებს არას დროს არ დართავსო...

ყველა აღმოსავლეთის ერებს კათოლიკე სარწმუნოებაში სრული უფლებები აქვთ, როგორც ფრანგებს, იტალიელებს, გერმანელებს და სხვაც, რაგინდ მცირე რიცხოვანი იყვნენ, მათ მარადის ჰყავთ კათალიკოსები, ეპისკოპოსები და მღვდლები თავიანთ ეროვნულ წესზე.

სომეხ-კათოლიკეთა რიცხვი არ აღემატება 70,000-ზე მეტს. მათ ჰყავთ პატრიარქი, 15—16 ეპისკოპოსი და აქვთ ავტონომიური უფლებები. კათოლიკე ქართველები 40-50000 მდე იქნებიან. ამათაც რისთვის არ უნდა ჰქონდეთ სრული იერარქია? რად ზღუდავენ მათ სარწმუნოებრივ უფლებებს? უსამართლობაა კათოლიკე ქართველთა ასე აბუჩად აგდება და დავიწყება..

კმარა რაც დღემდის კათოლიკე ქართველებმა ძალმომრეობის მიერ განიცადეს."

## ახალი ამბავი

### ტფილისი

**ექსკურსია.** კვირას, 18 მაისს, დილით, ტფ. ქალთა უმაღლეს კურსების მსმენელნი ავჭალას მიემგზავრებიან ქალაქის წყალსადენის დასათვალიერებლად. საჭირო ახსნა-განმარტებას მისცემს ინჟენერი ა. ს. ბაბოვი.

**ჭირის მოლოდინში.** ქალაქის გამგეობამ გუბერნატორს სთხოვა, მოიწვიოს უწყებათა წარმომადგენელთა თათბირი მოსალოდნელ ჭირის წინააღმდეგ ღონისძიებათა შესამუშავებლად.

13 მაისს გამოცდა დასრულდა ივანე ზაქარიას ძე ტერ-სტეფანოვის უფლებიან საბუღალტერო კურსებზე: კურსი დაამთავრეს შვიდმა ქართველმა, მათ შორის ერთი ქალია.

**მიოვესეულ სახ. ჩამონგრევის** დროს დაზარალებულთთვის უფასო შემწეობა ახლავე, სასამართლოში საქმის გარჩევამდე,—ამ საკითხს ქალაქის საბჭოს საიურიდიო კომისია 16 მაისს განიხილავს.

**ქალაქის თვითმმართველობა**ში რადგან ქალაქის საბჭოს მრავალი განსახილველი საკითხი აქვს, ამიტომ მომავალ კვირიდან საბჭოს კრებები კვირაში ორჯელ იქნება მოწვეული.

საბჭოს დავალებით გამგეობამ სამადლობელი დეპეშა გაუგზავნა მ. გ. ალიხაკოვს, რომელმაც პოლიტექნიკუმს 20.000 მან. შესწირა.

საბჭომ 600 მან. ყოველწლიური პენსია დაუნიშნა სოლოლაკის საქალაქო სკოლის გამგედ ნამყოფს ფირუმოვის ქვრივ-ობლებს.

საბჭომ 3,050 მან. გადასდო ქალაქის ლომბარდის ახალ შენობის მოსაწყობად.

### საზოგადოებანი და კრებები

**ქ. ზ. წ.-კ. გ. ს.** გამგეობის კრება, რომელიც დანიშნული იყო 13 მაისისთვის, არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო.

**გრიბოედოვის სახელობის** საზოგადოების წესდებას ხელი მოაწერეს საქართველოს ეგზარხოსმა და სხვა დამფუძნებელმა წევრებმა. წესდება გუბერნატორს გაეგზავნა დასამტკიცებლად.

### სასწავლებლები

**საქალაქო სკოლების ხარჯთაღრიცხვის** შესადგენად 16 მაისისთვის დანიშნულია ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის კრება.

### სასამართლო

**შეურაცყოფა.** 24 მაისს მეორე სამოსამართლო განყოფილებაში გაირჩევა საქმე ხმოსნის ა. ს. ბაბოვისა, რომელსაც ქალაქის უფროსის მოადგილეს ვ. რ. მელიქ-ალახვერდოვი უჩივის, სიტყვით შეურაცყოფა მომაყენაო.

### რკინის გზაზე

12 მაისს ტფილისიდან ნავთლუღისაკენ მომავალმა მატარებელმა (№ 242) გასრისა კარაპეტ სეროპიანცი.

საბუნჩის სადგურზე ვინმე უბილეთო მგზავრი ივანე პრიმაჩენკო შეიპყრეს და სატუსაღოში ჩასვეს.

### ზუგდიდი

უეცრივ გარდაიცვალა ს. ცაიშის ორკლასიანი სასწავლებლის ზედამხედველ-მასწავლებელი თადა მორტია. განსვენებული ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ მეგრელებს ქართველებთან არავითარი ნათესაობითი კავშირი არა აქვსო. ამორტია წინააღმდეგი იყო სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის სწავლებისა. თავის სკოლაში მიუხედავად იმისა რომ სავალდებულო იყო, ქართულ ენას არ ასწავლიდა ბავშვებს.

### თელავი

ვაჟთა პროგიმნაზიაში მოწაფეთა რიცხვი მოჰმატებია, რომლითაც სამინისტრო ითხოვს სწავლის ფულიდან 11 პროცენტის გადადებას სასწავლებლის დაარსების დღიდან, რაიც 3 ათას მანეთზე მეტს შეადგენს.

გიმნაზიასთან არსებული საზოგადოება კაპეიკობით ჰკრეფს შემოწირულებას რომ გაუადვილოს არსებობა და ამ ფულის თხოვნამ ცუდი შთაბეჭდილება იქონია ყველაზე.

**შუამთის მონასტერი** (კახეთი). მონასტერი ეს ერთი ხანია წყლის სილოტავესა გრძნობს, სათავეში რაც ტყეები გაიკაფა წყალმა ძრიელ იკლო. ეხლა ახალ წყალ-სადენს აკეთებენ. მონასტრის ხაზინადარმა იგუმენი ნიკოლოზმა ტფილისში შეიძინა საჭირო მასალა, მუშაობა განზრახულია ამ ზაფხულს დაიწყონ.

# დღიური

მეტი კულტურობა!

ჩვენს დღევანდელს ცხოვრებაში ბევრი ამოცანაა. განათლებული ქვეყნებიდან გადმოტანილი აზრი და ჩვეულება ხშირად ისე დამახინჯებულია ჩვენში, რომ მეტად ძნელია მისი გამოცნობა. დაწერილის წაკითხვა და ნათქვამის გაგონება შეუძლებელი ხდება. ისე ვართ ყველანი დამონებულნი პარტიულობით, რომ რაც ერთს მოსწონს, ის მეორემ უთუოდ უნდა დაიწუნოს, რაც ერთს ეტკბილება, მეორეს აუცილებლივ უნდა ემწაროს, ერთისთვის რომ თეთრია, მეორეს შავად ეჩვენება, ერთი რომ ერთს მაღაზიაში შედის სავაჭროდ, მეორე უსიკვდილოდ მეორეში უნდა შევიდეს. მეორეს მხრით რაღაც ახირებული დისციპლინაა, თუ წამბაძველობა—თუ პარტიის რომელიმე წევრმა დაიყვირა, ყველა თანამოაზრემ ბანი უნდა მისცეს, თუ ერთმა ჩაახველა, ყველას ხველება უნდა აუვარდეს, თუ ერთი დაეცა, ყველამ უნდა ჩაიჩოქოს... პიროვნება აღარსადაა!

განსვენებული ილია ჭავჭავაძე ეხლანდელი პარტიების გარეშე იდგა სრულებით, ჩვენს პარტიულობას იგი არ ჩარევია. მაგრამ რაღაც მარცხად ყველანი პარტიულის თვალსაზრისით ეხებიან მის მოღვაწეობას—ყველა ეძებს ილიაში მხოლოდ იმას, რაც თვითონ სწადიან, და აქებს, თუ საპარტიო რამ ჰპოვა და სთელავს, ჰგმობს, თუ რამ ნახა ისეთი, რაც მის პარტიულ გეგმას არ ეთანხმება. გვავიწყდება, რომ ილია ჭავჭავაძე არც ზესკნელი არსება იყო, არც ქვესკნელი, არც სულწმინდა, არც სატანი, არამედ ადამიანი იყო და სცხოვრობდა განსაზღვრულ პირობებში და როგორც ასეთს ღირსებაც ჰქონდა და ნაკლიც, სიმართლეც ჰქონდა და შეცოდებაც და არც ერთი და არც მეორე არ ყოფილა პარტიული, დღევანდელი პარტიული. ნურავინ იფიქრებს, რომ ილიას პიროვნება ასე სადავო და საქეჲი მიტომ შეიქნა, რომ ტრადიკული იყო მისი სიკვდილი. არა, ეს თავის მოტყუილება იქნებოდა. ილიას თუ დამშვიდებით, მიუდგომლად, ობიექტიურად ვერ ვეპყრობით, ამას უფრო ღრმა საზოგადო მიზეზები აქვს. ამის დასაბამი უნდა ვეძიოთ ჩვენი ცხოვრების ვითარებაში, ჩვენს უკულტურობაში.

მალე შვიდი წელიწადი შესრულდება ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ და ეს დრო საკმაო იყო, რომ მისი საფლავის გარშემო ატეხილი აურ-ზაური მიწყნარებულიყო, მოსალოდნელი იყო, რომ შევძლებდით დალაგებით, აუშფოთებლად გაგვეხილა ყველაფერი ილიას ცხოვრებაში და გვეთქვა მართალი ავი და კაიც. მაგრამ საუბედუროდ ამას აქამდის ვერ ვხედავთ და პირიქით დღეს მდგომარეობა თითქოს უფრო გამწვავდა და ლამის კეტებით მივესიენეთ ერთმანეთს. ამას ნათლად მოწმობს ქუთაისში მომხდარი ინციდენტი პ. გელეიშვილის ლექციაზე.

პ. გელეიშვილის ლექციის შინაარსი და კილო არ მოეწონა საზოგადოების ერთს ნაწილს, ობსტრუქცია გამოუცხადა და არ მისცა ნება ლექტორს სიტყვის დათავებისა. მე პირადად არ ვეკუთვნი ობსტრუქციონისტებს—მაგრამ იმიტომ კი არა, რომ აბსოლუტურად წინააღმდეგი ვიყო ყოველი ობსტრუქციის, ობსტრუქცია მოუხერხებლად მიმაჩნდეს უთუოდ ყოველს შემთხვევაში. არა, არის მდგომარეობა, როცა ადამიანი იძულებულია თავისი აღშფოთება ამ უკიდურეს საშუალებით გამოხატოს. ხოლო ბ. გელეიშვილის ლექცია არ მოითხოვდა ამ უკიდურეს ზომას. უმთავრესად კი არ ვიზიარებ ქუთათურ მეობსტრუქციეთა აზრს იმიტომ, რომ ამნაირის საქციელით უფრო მწვავდება და ღრმავდება ის არევ-დარევა, მიკერძოება და აღელვება, რომელიც გარს ახვევია ილიას სახელს და რომელიც აფერხებს დალაგებულს კვლევას და ძიებას; ეს კი ყველაზედ მეტად საჭიროა სინამდვილის შესაგნებლად და განსამტკიცებლად, ამას კი ყველაზე უფრო მოითხოვს ილიას სიყვარული და პატივისცემა.

მართალია, ბ. გელეიშვილმა ვერ შესძლო მისულიყო ი. ჭავჭავაძის პიროვნებასთან მართალის გულით, დამშვიდებით, მიუდგომლად, იგი არ ცდილა ილიას ნამდვილი სახე გადაეშალა წინ მაყურებლებისათვის, მისთვის მიუწდომელი გახდა ილიას ბუნება; მაგრამ ეს სრულებით საბუთს არ აძლევს მოწინააღმდეგეებს უფრო ამღვრიონ წყალი განსვენებული პოეტის გარშემო, მეტი აღელვება შეიტანონ მისი ცხოვრების და მოქალაქეობის გამოკვლევის საქმეში. რაც უფრო მეტს სიდინჯეს, დარბაისლობას და სიმშვიდეს გამოვიჩენთ, მით უფრო მალე გაიფანტება ბურუსი და გამოცხადდება; სიმართლე—ვინ იყო ჭეშმარიტად ი. ჭავჭავაძე, რა შეგვძინა და რა წაგვართვა. ილია ჩვენზე მაღლა სდგას—იგი პარტიებს არ ეკუთვნის, იგი მთელი ქართველი ერის საკუთრებაა და ამ ერის განვითარებაში გამოაშკარავდება მისი ნამდვილი სახე.

მაგრამ ქუთაისის ინციდენტში არის მეორე უფრო სამწუხარო და სავალალო. პ. გელეიშვილის თანამოაზრეებმა სრულიად შეუფერებელი განკაში ასტეხეს ამ ინციდენტის გამო, დაიწყეს ისეთი კილოთი წერა, რომელსაც შეუძლიან მკითხველს ქართული გაზეთი შეაძულოს. იწერება მეთაურები, ცალკე წერილები, პროტესტები „ქართველ პურიშკევიჩების, შავრაზმელების, ხულიგნების“ წინააღმდეგ; ქვეყანას მოუწოდებენ სიტყვის თავისუფლების დასაცავად, რომელსაც თურმე „ჩვენი მამულიშვილებისაგან“ მეტი საფრთხე მოელის, ვიდრე შინაგან საქმეთა მინისტრისაგან; გაისმის დაუსრულებელი ლანძღვა, გინება, თრევა... რა მოხდა, რა ამბავია? მართლა ვიღუპებით და ეს დაღუპვა ქუთაისის ინციდენტმა გამოგვიჩინა?

რასაკვირველია, საამისო ქუთაისში არა მომხდარა რა, მოხდა—ჩემის შეხედულობით — სამწუხარო ამბავი, მაგრამ არა გასაოცარი, არა ისეთი, რაც არა სჩვევია ჩვენს საერთო დაქვეითებას, უკულტურობას, გაუნათლებლობას, ერთმანეთის უპატივცემულობას. ქუთაისის ამბავი მოხდა იმიტომ კი არა, რომ დამახასიათებელია ერთის ჯგუფის, მიმართულების. ამგვარსავე ამბავს მოახდენდნენ, ამგვარსავე ობსტრუქციას მიმართავდნენ „სიტყვის თავისუფლების ასალაგმავად“ მსგავს შემთხვევაში ისინიც, რომლებიც დღეს ასე გაცხარებით ჰკიცხავენ და ლანძღავენ ქუთათურ ობსტრუქციონისტებს. თუ დასელებს ეს არ სჯერათ, გაიხსენონ თავის ახლო წარსულის ამბები, მე აღარ დავასახელებ სახელდობრ ფაქტებს, ყველას კარგად გვახსოვს. მაშ რა მოხდა ახალი ქუთაისში? თუ ქუთაისის ამბები სამწუხაროა, მიტომ რომ იგი ჩვენი საერთო ვითარების, საერთო ჩამორჩენის, დაცემის ნაყოფია, აქ პარტიობას ნურავინ ებღაუჭება, პარტიულობით თავს ნუ იმართლებს და მაღალ-მაღალის სიტყვებით ნუ ცდილობს ფონს გასვლას. ამას ჩავუკვირდეთ ღრმად ყველანი განურჩევლად მიმართულებისა და უკეთესია დავინახოთ საკუთარი ნაკლულევანება, ვიდრე სხვაში ვეძიოთ უბადრუკობა და შეცდომა... **ხიტყვ.**

# იროდიონ ევდოშვილის საღამო

ყველამ კარგად იცის, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება დღეს იროდიონი: დასნეულებული, დაავადმყოფებული, მოკლებული ყოველივე ნივთიერ საშუალებას.

საყვარელი მგოსანი აგერ წელიწადზე მეტია ავად არის. ქართველმა საზოგადოებამ უკვე მიაქცია ყურადღება ავადმყოფს მგოსანსა და ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხიდან მოაწოდა მას თავისი წვლილი.

დღეს პოეტს კვლავ ესაჭიროება საზოგადოების დახმარება. იგი გამოკეთდა, მაგრამ არა მთლად.

საჭიროა კიდევ ექიმობა, საავარაკო ადგილს გამგზავრება, რომ საბოლოოდ განიკურნოს საშინელი სენისაგან.

და ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ქართველი საზოგადოება ამ შემთხვევაშიაც აასრულებს თავის მოვალეობას და დაესწრება დღეს მის საღამოს. **ბ.**

# ავადმყოფთა საგალობელი

წელთა დაღმართს დავეშვი, ყველამ გადამივიწყა,
სიცოცხლისგან აწ მხოლოდ წვალა უნდა მივიწყა.
მაგრამ ნუ თუ, ვის გულმაც შემიხიზნა მეგობრად,
ვინცა ციურის ხმებით ამამღერა მე მწყობრად—
ეხლა აღარ მახსენებს, ეხლა იმუხანათებს
და თვალს ნუგეშინისას აღარ შემომანათებს?!
მოდი, მნახე, სიცოცხლევ, მნახე და გაიკვირე,
თუ რა არს უშენობა, რაა სხივთა სიმცირე:
გუშინ ბედთან მებრძოლი, გუშინ ჯანღონით სავსე,
დღეს სიკვდილთან ვბაასობ, დღეს სიკვდილს დავემგზავსე.

—

სიცოცხლევ, ამიხსენ: გაზაფხული რომ ჰქნება,
ზამთრის შემდეგ ხელ-ახლა ისევ გადიფურჩქნება;
მაგრამ ვინც ამ სოფლიდან მიდის, ერთხელა კვდება,
კვლავ როდისღა ბრუნდება, კიდევ როდისღა ჩნდება?!.

—

აი, ანცი მერცხალი, გაზაფხულის სხივივით,
მოაფრინდა ჩემს სარკმელს, ენამრავლობს ტკბილი ხმით
ეს ჩემი წარსულია, დღეს მოფრენილა მერცხლად,
საგაზაფხულო ჰანგებს მაფრქვევს წკრიალა ვერცხლად...
მე კი, გუშინ ამაყი, გუშინ სიცოცხლით სავსე,
დღეს სიკვდილთან ვბაასობ, დღეს სიკვდილს დავემგზავსე,

**ი. მჭედლიშვილი.**

# ბატონ-ყმობის გაუქმება საქართველოში და თავად-აზნაურობა.

## II

საგანგებო პროექტი წარადგინა ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკიმ 20 მარიამობისთვეს 1861 წ., რომელშიც ძლიერ ჩაფიქრებით და მწყობრად გამოთქვა თავისი აზრი შესახებ ბატონ-ყმობის გაუქმებისა. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი იცავს მხოლოდ თავად-აზნაურობის ინტერესებს, მათი ბედ-იღბალი აწუხებს მას მხოლოდ, თავადი მუხრანსკი თანახმა არის გლეხების განთავისუფლებისა; გლეხებს უნდა მიენიჭოს მხოლოდ პირადი თავისუფლება, მაგრამ თუ გლეხები განთავისუფლებულნი იქნებიან, მაშინ ბატონების მამულები დაკარგავენ მუშებს, ბატონებს არა აქვს შეძლება მიწების დამუშავების; თუ გლეხები ბატონებს განშორდებიან, მაშინ ბატონების მამულები დიდ გასაჭირში ჩავარდებიან; რათა გლეხების განთავისუფლებამ არ შეაფერხოს მემამულენი და გლეხების მეპატრონენი, მთავრობამ უნდა დააჯილდოვოს მემამულენი; მით უმეტესად, რომ თავად-აზნაურობა იმდენად ღარიბი და დაქვეითებულია, რომ ასეთი ნაკლს ვერ აიტანს; ამას ისეც უნდა დავსძინოთ, რომ მემამულენი ძლიერ დავალიანებულია, მის მამულზედ 2 მილიონი მანეთი ვალი აწევს. რაც გლეხებს მიწა-წყალი აქვს, ისინი ყველანი ბატონის საკუთრებაა, რომელიც ბატონის მიერ იყო გადაცემული გლეხებისათვის; ისინი აწარმოებდნენ ბატონის მიწებს, თითონ საზრდოებდნენ და ასაზრდოებდენ მემამულეებს, მიწის პატრონებს. მაშასადამე, ის მიწები, რომლებიც გლეხებს უჭირავს, ყველანი ბატონისა არიან, და მას უნდა დაუბრუნდეს. ბატონები თანახმანი არიან, რომ გლეხებმა თავი დაანებონ ბატონის ბინებს და სხვა ადგილებზედ გადასახლდენ, რასაკვირველია, მთავრობის ნებართვით, ვინაიდგან მთავრობამ უნდა აღევნოს თვალყური სად გადასახლდებიან გლეხები, რომ სახელმწიფო გადასახადები დროებით მოკრიფონ. თავად-აზნაურობა მზათ არის დასტოვოს გლეხები თავიანთ ადგილებზედ, თავად-აზნაურობა მისცემს მიწებს და მოყმევებსა, მხოლოდ გლეხები ამ შემთხვევაში მემამულეს ყმები როდი იქნებიან, გლეხები გადიქცევიან მემამულეთ მიწების მემკვიდრეობითი მოიჯარადრედ. ასეთ მოიჯარადრეს ექნება უფლება მიწას თავი დაანებოს თავისი სურვილის მიხედვით, ოღონდ ბატონი დარწმუნებული უნდა იქნეს, რომ მიწის ღალა არ დაეკარგება. რაც შეეხება მიწის ზომას, რომელსაც მემამულე გადასცემს გლეხს, მიწის ღალას, ამის შესახებ გლეხი, მემკვიდრეობით მოიჯარადრე და ბატონი ხელ-შეკრულებას შექნიან ურთიერთობისას.

თავ. მუხრანსკის პროექტის აზრი ძლიერ მარტივი იყო: გლეხებს პირადი თავისუფლება; ბატონს—მიწა-წყალი, დამუშავებული გლეხის მიერ; მაშასადამე გლეხი გადაქცეულია მემკვიდრეობით მოიჯარადრეთ, რომელიც დაკარგავდა ერთად ერთ ცხოვრების სახსარს—მიწას, გადიქცეოდა მონათ ახალი გვარისა მხოლოდ. მართალია ბატონს არავითარი უფლება არ ექნება გლეხების პიროვნების შესახებ, მაგრამ გლეხი იქნებოდა დაკავშირებული ახალი ხელშეკრულებით უფრო მჭიდროთ, ვიდრე წინ; ვინაიდგან მიწა-წყალს მოკლებული, გლეხი მშიერ-ლატაკი, ჰკარგავდა უკანასკნელ ცხოვრების იარაღს. მართალია, მთავრობა წინააღმდეგი იყო უმიწო-წყლოთ გლეხების განთავისუფლებისა, მაგრამ თავად-აზნაურობა ჩვენში მხოლოდ ამ გვარ ფორმის მომხრე იყო; შემდეგში არა ერთხელ გავიგონებთ, რომ თავად-აზნაურობის უმეტესობა მხოლოდ ამ სახის რეფორმის მომხრე იყო. **ხ. ჟვალიანი.**

# შუაგულ საქართველოს მეხილეთა ამხანაგობა

ქართველ მეურნეთა შორის ფრიად სიმპატიური აზრი დაიბადა: დაარსება მეხილეთა ამხანაგობისა. ამხანაგობას სახელად დაერქვა „შუაგულ საქართველოს მეხილეთა ამხანაგობა“, რომლის მეთაურებმა-დამფუძნებლებმა ერთმანეთს შორის უკვე დასდეს ნოტარიული პირობა-ხელშეკრულობა. ასეთი პირობა დაიდო ნოტარიუს ქართველიშვილთან. ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერეს შემდეგმა დამფუძნებელმა წევრებმა: თ-დმა დ. ე. ჩოლოყაშვილმა, თ-დმა ვ. გ. მაჩაბელმა, ი. ი. ფურცელაძემ, თ-დმა ს. რ. ვახვახიშვილმა, ვ. ი. რცხილაძემ, თ-დმა ლ. ნ. დიასამიძემ, გ. დ. ჟურულმა, ი. ო. იოსელიანმა, ი. გ. ქუთათელაძემ, თ-დმა გ. ნ. ვეზირიშვილმა, ა. თ. ყიფშიძემ, ს. ნ. ყაზახიშვილმა, ი. ნ. მაჭავარიანმა, ი. ე. ფურცელაძემ, ა. ხ. აბაშიძემ, დ. რ. მაჭავარიანმა, დ. გ. გაგლოშვილმა, ე. ს. ცალქალამანიძემ და ნ. ზ. კეცხოველმა.

კვირას, 11 მაისს, ამხანაგობის დამაარსებელნი გორს გაემგზავრნენ, სადაც მოწვეულ იქმნა ამხანაგობის დამფუძნებელი კრება, რომელიც დაიწყო ნაშუადღევის პირველ საათზე, გორის ქალაქის თვითმმართველობის სადგომში, თ-დ ვ. გ. მაჩაბლის თავჯდომარეობით. კრებას 30-დე მეხილე დაესწრო. თავჯდომარემ კრებას მოკლე სიტყვით მიმართა, მიულოცა მათ, რომ ახლა მაინც მართლდება დიდი ხნის მოლოდინი მეხილეთა ამხანაგობის დაარსებისა და სთხოვა, დამფუძნებელთა სიაში ჩაწერილიყვნენ. ვ. ი. რცხილაძემ დამსწრეთ წაუკითხა ნოტარიოსთან დადებული პირობა და მუხლ-მუხლად ქართულადაც გადაუთარგმა. ზოგიერთმა მუხლმა საყურადღებო სჯა-ბაასი გამოიწვია. დასასრულ ვ. რცხილაძემ განუმარტა დამსწრეთ პირობის უკანასკნელი მუხლი, რომლითაც ამხანაგობის წესდება შემუშავებულ უნდა იქმნას სამის თვის განმავლობაში დღიდან დამფუძნებელ კრების მოწვევისა. ამის შემდეგ დამფუძნებელთა სიაში კრებაზედვე ჩაეწერა 19 კაცი. ამრიგად სულ გახდა 38 დამფუძნებელი.

კრებაზე, 11 კაცისაგან არჩეულ იქმნა დროებითი გამგეობა, რომელშიაც მოხვდნენ: **ვ. ი. რცხილაძე** (თავჯდომარე), თ-დი დ. ნ. დიასამიძე (თავჯდომარის ამხანაგი), ი. ფურცელაძე, (ხაზინადრად), ა. ქარუმიძე (ხაზინადრის ამხანაგად), ვ. ცაბაძე (მდივნად), თ. რაზიკაშვილი (მდივნის ამხანაგად), დ. მაჭავარიანი, ა. აბაშიძე და ზ. ჯავახიშვილი.

ზედამხედველ კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა ამ დღეს აღარ მოხდა.

ახალ გამგეობას უკვე ჰქონდა კრება და საჭიროდ სცნო, გამგეობა ორ ჯგუფათ გაიყოს. ერთმა ჯგუფმა უნდა იმუშაოს ტფილისში, ხოლო მეორემ, რომელშიაც არიან პრეზიდიუმის პირთა ამხანაგები, უნდა იმუშაოს შუა ქართლში. პირველის ბინა იქმნება ქართულ სამეურნეო საზოგადოების შენობაში, ხოლო მეორისა-საქაშეთში. გამგეობამ რამდენადმე გაითვალისწინა თვის სამუშაოს წინასწარი გეგმა და დაავალა მეორე ჯგუფს შეეკითხოს საგანგებო ბლანკებით მეხილეებს, რამდენი და რა ჯურის ხილი აქვთ; მასვე დაავალა, ორი კაცი მოამზადოს მეხილეობის ტეხნიკურ საკითხებში (ხილის დაკრეფა, ჩალაგება და სხვა) და შემდეგ მოიწვიოს საზოგადო კრება და მეხილეთ შესაფერი დარიგება მისცეს.

დასასრულ ვ. ი. რცხილაძემ მეხილეებს გამოუცხადა, რომ ტფილისის ერთ-ერთს ფირმას სურს შეიძინოს 30 ფუთი შავი მოცხარი (სმაროდინა)

ამით დასრულდა კრება საღამოს 6 საათზე. მეხილეთა ამხანაგობის დაარსების აზრმა ხალხში დიდი თანაგრძნობა გამოიწვია და საქმის მეთაურები ახლავე შეუდგებიან წესდების შედგენას.

# რამდენად გაძვირდა ახალმა სასაქლაომ ხორცი

ყველა მხრიდან გაისმის, რომ ტფილისის ბაზარზე ხორცის ფასმა საშინლად აიწია, ქალაქის გამგეობის მიერ დაწესებულ ნიხრს ყასბები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ და ხორცს მამასისხლად ჰყიდიან; თუ ახალ სასაქლაოზე გადასვლამდე ყასბები ნიხრზე ერთი-ორი და სამი კაპეიკით მაღალ ფასებში ჰყიდდნენ ხორცს, ეხლა, რაც დაკვლა სწარმოებს ახალს სასაქლაოზე, მათ წაუმატეს 5-10 კაპეიკამდე გირვანქაზე. ყასბებს გასამართლებელ საბუთად ამ შემთხვევაში ისა აქვთ, რომ ვითომ ქალაქის გამგეობამ ძალზე გაადიდა გადასახადები და იგინიც იძულებულნი არიან ამის გამო ხორცი მეტ ფასებში ჰყიდონ. ყასბებმა მეფის მოადგილესაც კი მიჰმართეს საჩივრით ქალაქის გამგეობის ვითომდა უკანონო მოქმედებაზე. ამ საჩივარში გამგეობა გამოჰყავდათ დამნაშავედ ხორცის გაძვირებისა და შესთხოვდნენ, რომ ახალი გადასახადები გაეუქმებინა და ამით შეძლება მიეცა ღარიბ ხალხისათვის ხორცის სყიდვისა და ჭამისა (რა გულმტკივნეობას იჩენენ ყასბები, ჰხედავთ?!). რასაკვირველია, ყასბების ყოვლად უსაფუძვლო საჩივარი უყურადღებოდ იქმნა დატოვებული მეფის მოადგილის მიერ და რაკი დაინახეს, რომ არც გამგეობა და არც ადმინისტრაცია ხელს არ უწყობთ, აიღეს და თავის-თავად იწყეს ძარცვა ხალხისა. რომ მათი გოდება და მუდამ დრტვინვა აუტანელ ქალაქის გადასახადებზე ყოვლად სამართლიანობას მოკლებულია, ამას დავინახავთ ჩვენ, თუ შევადარებთ ახალს და ძველს გადასახადებს:

[illegible]

| | ძველი სასაქლაო: | ახალი სასაქლაო: | მომატება | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | სულზე: | ფუთზე: | გირვანქაზე: |
| მსხვილფეხა საქონ. (ხარი, ძროხა, კამეჩი, მოზვერი, დეკეული) | 97 კ. | 1 მ. 64 კ. | 67 კ. | 11 1/2 კ. | 1/8 კ. |
| ხბო | 20 კ | 37 კ. | 17 კ. | 17 კ. | 1/2 კ. |
| ცხვარი და თხა | 16 კ | 36 კ. | 20 კ. | 20 კ. | 1/2 კ. |
| ღორი | 1 მ. 6 კ. | 1 მ. 46 კ. | 40 კ. | 13 კ. | 1/8 კ. |
| გოჭი და ბატკანი | 9 კ. | 21 კ. | 12 კ. | 40 კ. | 1 კ. |

მსხვილფეხა საქონელი ორთაშუა რიცხვით ჩავთვალეთ ჩვენს გამოანგარიშებაში სული 6 ფუთად; ხბო, ცხვარი და თხა—1 ფუთად; ღორი—3 ფუთად; გოჭი და ბატკანი—12 გირვანქად. როგორც ამ შედარებიდან ჩანს, ხორცს სხვა და სხვა საკლავისას გირვანქაზედ მოჰმატებია გადასახადი 1/8—1 კაპეიკამდე, მაშასადამე რაღა საფუძვლით უმატებენ ყასბები ხორცს გირვანქაზედ 5—10 კაპეიკამდე? აშკარაა, რომ მათ მიერ ხორცის გაძვირებას საფუძვლად უდევს არა გადასახადის მომატება, არამედ მადა სხვის საკუთრების მითვისებისა.

ვინ ან როგორ უნდა ვებრძოლოთ ყასაბთა თავხედობას? როგორც ქ. ტფილისის ისე რუსეთის და ევროპა-ამერიკის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ რეპრესიებით და ნიხრის ძალით დაწესებით სათანადო მიზანს ვერ ვაღწევთ; ამიტომ თუ ყველგან არა, მომეტებულ ნაწილ ქალაქებში ეს ზომა იქმნა უკუგდებულ და მის-მაგიერ იქმნა შემოღებულ უფრო უკეთესი ნაყოფის გამომღები ზომა: კოოპერატივები ანუ მომხმარებელთა კავშირები ხორცით ვაჭრობისა და მუნიციპალური ხორცით-სავაჭრო დუქნები. ცნობილია, რომ კონკურენციას, ქიშპობას ყოველგვარ დარგის ვაჭრობაში აქვს მთავარი ფასის—მომწესრიგებელი მნიშვნელობა და სწორედ მუნიციპალიტეტის და კოოპერატივების სააღებ-მიცემო სერიოზულად გამოსვლით გამოიწვევა ეს ფასის თანაზედ დამამყარებელი პრინციპი—მეტოქე კონკურენცია. აქა-იქ კანტი-კუნტად გაისმის, ვითომ ქ. ტფილისის ქალაქის გამგეობას განძრახვა ჰქონდეს ნიხრის მოსპობისა, მაგრამ ეს ხმები საფუძველს მოკლებულია, ანუ უკეთ ვსთქვათ დამახინჯებულია. ნიხრი მოისპობა მაშინ, როდესაც ქალაქის მუნიციპალიტეტი შეიარაღდება ახალი იარაღით ყასაბთა თავგასულობასთან საბრძოლველად ე. ი. როდესაც თავად მოაწყობს საკლავ საქონლის სყიდვას და გაყიდვას ხორცისას. დიდი შეცდომა იქნება თუ ქალაქის გამგეობა მოსპობს ნიხრს საკუთარ ხორცით აღებ-მიცემობის მოწყობამდე. **მი—ლი.**

# რის გაკეთება შეუძლიან წვრილ სას.-სამეურნეო ამხანაგობას

(საქაშეთის სასოფ.-სამეურნეო ამხანაგობის მოქმედებიდან).

ამ ბოლო დროს ჩვენს სოფელს ემჩნევა ტენდენცია საკუთარის ძალით თავის ჭირ-ვარამის მოვლა. განსაკუთრებულის ძალით ამ მიდრეკილებამ იჩინა თავი კრედიტის მოწესრიგებაში სოფლად; ხოლო მეორე საჭიროება არა ნაკლებ მნიშვნელოვანი—სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელება და საამხანაგო შუამავლობა სრულიად უყურადღებოდ არის დატოვებული.

სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელებაში და შუამავლობის მოწყობაში ადგილობრივ ელემენტებს შეუძლიანთ დიდი მონაწილეობა მიიღონ. ეს საკითხი არა ნაკლებ სერიოზული და ღირსია ჩვენის სოფლის ინტელიგენციის ყურადღებისა, ვიდრე კრედიტის საკითხი, მით უმეტეს ჩვენს ქვეყანაში, სადაც სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელება და შუამავლობა (საამხანაგო) ძალიან სუსტად არის მოწყობილი. უნდა გვახსოვდეს, რომ კრედიტს მხოლოდ იმდენად აქვს მნიშვნელობა ჩვენის სოფლისათვის, რამდენადაც იგი მეურნეობის წარმატებაზე იხარჯება; ხოლო მეურნეობის წარმატება მხოლოდ იქ არის შესაძლებელი, სადაც ცოდნა და საამხანაგო შუამავლობა არის.

აი რატომ ძალიან საინტერესო და საყურადღებო იყო დაარსება სოფ. საქაშეთის (გორის მაზრა) წვრილ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობისა.

ამ ამხანაგობის დაარსების მოთავეთ თავ. დ. და კ. დიასამიძეებს არა ერთი და ორი კითხვა დაუსვეს სხვა ამხანაგებმა, არა ერთი და ორი ეჭვი იყო გამოთქმული, „ვაი თუ ამხანაგობამ ვერაფერი გააკეთოს, როგორც უსახსრობით, ისე თვით ამხანაგობის უნიადაგობით ამხანად სოფელში“, მაგრამ დამფუძნებელთა იმედმა და მხნეობამ იმოქმედა სხვებზედაც და ამხანაგობამ დაიწყო მოქმედება.

1913 წელს მაისში დამტკიცდა მისი წესდება, შედგენილი თანახმად ეგრედ წოდებული „ნორმალური წესდებისა წვრილი სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა (გამოცემულია 18 ნოემბერს 1908 წელს). წესდებით ამხანაგობის მოქმედების მიზანი ორგვარია: 1) დახმარება სოფლის მეურნეთათვის მათთვის საჭირო საგნების შეძენაში და მათს ნაწარმოების გასაღებაში, გამართვა სხვა და სხვა დაწესებულებებისა სოფლის ნაწარმოების დასამუშავებლად და 2) ურთიერთის დახმარებით თავიანთი მეურნეობის გაუმჯობესება.

1913 წლის შემოდგომიდან ამხანაგობამ დაიწყო მოქმედება, რომელიც გამოიხატა შემდეგში: 1) მიიღო მონაწილეობა 1913 წლის შემოდგომაზე ქ. ტფილისში გამართულ მეორე მეხილეობის გამოფენაში და მიიღო იქ ჯილდო; 2) გამოსცა რუსულად წვრილ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა წესდება. ამ წესდების დაბეჭდვა გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: გუბერნატორთან წარსადგენად საჭირო წესდება უნდა დაიბეჭდოს „რემინგტონზე“ ორი ცალი. გარდა ამისა ყოველივე თხოვნას თუ შუამდგომლობას დაწესებულებებში სჭირდება თან წესდების დართვა. რემინგტონზე გადაწერა წესდებისა ჯდება თითო პირი 30—50 კაპეიკი. ამხანაგობამ წესდება დაბეჭდა და თითო ცალს ამ წესდებისას ჰყიდის ორ შაურად. ამ რიგად დამტკიცება ამხანაგობის წესდების ამხანად იაფი დაუჯდებოთ სხვა ამხანაგობებს.*) 3) მოაწყო სა-

---

*) წესდების დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: 1) ст. Карели З. к. ж. д. сел. Сакашети, сельско—хоз. т—во аб 2) ст. Гоми, З. к. ж. д. агроному Э. Карбелашвили.

ჩვენებელი მინდორი სოფ. საქაშეთში, სადაც ხალხის საჩვენებლად მანქანით პურია დათესილი.

ამ წლის პირველ იანვრიდან ამხანაგობამ დაიწყო შუამავლობაც წევრთათვის საჭირო იარაღ-მანქანების გამოწერაში.

სოფ. ხვითში ერთს ერის წევრს მოჰყავს თავისთვის საკმაო საქონლის საკვები ჭარხალი. ჭარხლის დასაკუწად (საქონლისათვის) ამხანაგობამ მისი თხოვნით გამოუწერა საგანგებო საკუწი მაშინა; სხვებს სჭირდებოდათ ბაღში სასინჯად ხელოვნური სასუქი, ამხანაგობამ გამოიწერა როსტოვიდან ხელოვნური სასუქი. ამხანაგობის დავალებით გამოიწერა აგრეთვე დობისათვის 1600 საჟ. ეკლიანი მავთული, საცდელად—ერთი რულო (32 არშინი) სახურავი მასალა „ლიტოიდი", გამოიწერა გუთანი.

საქაშეთის მიდამოში (ძაინი) გავრცელებულია „საკკირეული" გუთანი. გუთნისათვის საჭირო სახნის-საკვეთებს მათი გაცვეთის შემდეგ აკეთებინებდნენ ადგილობრივ მჭედლებს. მჭედლები ვერც რიგიანად აკეთებდნენ მას და ძვირადაც უსვამდნენ.

ამხანაგობამ მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და გამოიწერა რუსეთის ერთ-ერთის ცნობილ საწყობიდან თვით საკკისავე სახნის-საკვეთები; ეს სამზღვარ-გარეთული, საკკისეული სახნისს-საკვეთები ჯერ ერთი რომ საუკეთესო მასალისაა და მეორეც უფრო იაფი, ვიდრე ადგილობრივ მჭედლების გაკეთებული. რომ ეს საჭიროება ნამდვილი ყოფილა იქიდანა სჩანს, რომ სოფელში ორს კვირაში 15 სახნისი და 5 საკვეთი გაიყიდა, და რომ არ ეყოთ, ხელმეორედ გამოიწერეს: მეორე პარტიაც მალე გაიყიდა: ერთს კვირაში გაიყიდა 7 სახნისი და 4 საკვეთი.

სახნის-საკვეთების გარდა გამოწერილი იყო გუთნის ბურღები (სახნისების დასამაგრებლად კბილაზე); ამ ბურღებს აქ ვერც აკეთებდნენ რიგიანად, და ძვირიც ჯდებოდა; ვინტი ამხანაგობაში ღირებული 6 კაპეიკად, აქ ჯდებოდა 20—25 კაპ.

ამხანად სოფლად დიდი საჭიროებაა შაბიამანის; ქალაქში, ცნობილ ფირმასთან სცადეს საქმის დაჭერა, მაგრამ ძალზე ძვირად დაუფასეს ამხანაგობას; ამიტომ ამხანაგობამ ისევ ინგლისიდან არჩია შაბიამანის გამოწერა. როგორც ვარაუდიდან სჩანს, ფუთი შაბიამანი ადგილობრივ მოტანით ერთი მანეთით იმაზე უფრო იაფად უჯდება ამხანაგობას, ვიდრე ტფილისის ფირმამ დაუფასა.

ამხანაგობა სცდილობს სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკის შედგენას. ამხანად მისდის „სასოფლო გაზეთი" და შეიძინა აუცილებლად საჭირო ყოფილა კოოპერატიულ დაწესებულებისათვის წიგნი-სახელმძღვანელო: „Справочная книга для сельскаго товарищества" გამოცემული ხარკოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ.

ამხანაგობამ აიღო აგრეთვე ერთი **აქცია კავკასიის** სავაჭრო ბანკისა.

ასეთია მოქმედება საქაშეთის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის.

უფრო მრავალფეროვანი, უფრო ფართე და სავსე იქნებოდა ამხანაგობის მოქმედება, მის გამრჯელ და გულგაუტეხავ მოთავეებს უსახსრობა რომ არ ეღობებოდეს წინა.

ე. კარბელაშვილი.

## ქუთაისის ქალაქის სკოლების გარშემო

როგორც ვაუწყე ამას წინად მკითხველ საზოგადოებას, ქუთაისის საქალაქო პირველ-დაწყებითი სკოლების მასწავლებელნი შედარებით ბაქოს, ტფილისის და ბათომის სკოლების მასწავლებლებთან ნივთიერად დიდ გაჭირვებას განიცდიან. ამ ათიოდე წლის წინად ქუთაისი თუ ნაქები იყო სანოვაგის სიიაფით და 30—40 მანეთით თვეში მოსახერხებელი იყო ცხოვრება, დღეს ყოველ წლობით თანდათან სანოვაგე, არა თუ ერთი ორად, ერთი სამადაც ძვირდება, ბინასა და შეშასაც ორი ფასი დაედო და 60—80 მან. თვეში წინანდელი 20 მანეთის ადგილზეა. ამ უკანასკნელ წლებში ქუთაისში ყველაფერი ძვირობს: მაგალ., განაპირა უბანში, შუა ქალაქიდან ორი ვერსის დაშორებით, ორ ხომიერ ოთახს სამზარეულოთი ათ მანეთად ვერ იშოვით, როდესაც წინად 4—5 მანეთი საკმაო იყო, შეშა კუბიკური საჟენი 40 მანეთად ფასობს, სოფლებიდან ჩამოტანილი კი პატარა ურემი, რომელიც ათიოდე დღეს ძლივს ყოფნის, 2—3 მანეთი ღირს, სიმინდის ფქვილი ფუთი—შვიდი აბაზი, ოყა პური—12—13 კაპ., ოყა ხორცი 50—60 კაპ., ერთი დედალი 6—7 აბაზი, წიწილა, რომელიც ერთს ბავშვს ძლივს გააძღებს 6—7 შაური, ტანისამოსი და ფეხსაცმელების ფასი ხომ ერთი ორად გახდა ყველგან. ქუთაისის საქალაქო სკოლის მასწავლებელი საშუალო რიცხვით ღებულობს წლიურად 600 მანეთს.

აქვე მოვიყვან ანგარიშს, თუ რამდენი ეხარჯება მას წლიურად, რასაკვირველია ეკონომიურად რომ იცხოვროს: ქალაქის განაპირას ორი ოთახი სამზარეულოთი და წყლით 150 მან., ორი საჟენი შეშა—80 მან., განათება — 12 მან. ტანისამოსი იაფფასიანი 120 მან., აბანოს და სარეცხის—12 მან., ექიმი და წამალი—30 მან., ჟურნალ-გაზეთები და ახალი წიგნები—30 მან., სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებაში წევრად ჩაწერა და ორჯერ თვეში თეატრში შესასვლელად ათ შაურიანი ბილეთის ყიდვა 20 მან. საჭიროება-გაჭირვების დროს ექიმი 6 მან., ამ გვარად შესდგა სულ საჭმელ-სასმელს გარდა წლიურად 460 მანეთი, რჩება 140 მანეთი ხარჯისათვის; მე მყავს აქ მხედველობაში ისეთი მასწავლებელი, რომელსაც ჰყავს ცოლი და ორი შვილი, მსახურს არ იყოლიებს და ხარჯს თვითონ გაიკეთებს ოჯახში: დღეში სამი გირვანქა ხორცი—50 კაპ. ოთხი ოყა პური—50 კაპ., ერთი ბოთლი ღვინო—20 კაპ., დილა-სადამოს ჩაი-შაქარი. 30 კაპ. რაც შეადგენს წლიურად 540 მანეთს (მასწავლებელი თუ დაჯერდება სადილათ ერთ კერძს). როგორც ჰხედავთ დიდის ეკონომიით მასწავლებლის გამოზომილ წლიურ ხარჯს შეადგენს 1000 მანეთი, მაშასადამე მას ედება დღეს წლიურად ვალი 400 მანეთი, უკეთუ ზემოხსენებული „რეცეპტისამებრ" იცხოვრებს; თუ არა და უნდა იყოს მშიერი და შიშველი. სწორედ ასეთ მდგომარეობაში არიან ქუთათური მასწავლებლები. მათ საზრდოს შეადგენს პური, ყველი, ტარანი და ლობიო, ტანისამოსი ნისიად აქვთ გამოტანილი ერთი ხელი, ჟურნალ-გაზეთებს კიდევ სკოლები იწერენ და წაიკითხავენ ხანდახან, თეატრისა და ლექციებისათვის სადა აქვთ ფული, კურორტებსა და აგარაკებს ხომ ვერ ეღირსებიან სიცოცხლეში. ასეთ პირობებში მოეთხოვება კიდევ მასწავლებელს, რომ მას სასურველად ჰქონდეს დაყენებული სკოლის საქმე?!

თვეში 50 მანეთად უცოლშვილო მასწავლებელიც ვერ გაიტანს თავის თავს, თორემ ოჯახიანი საიდან. მასწავლებელი 1—2 საათამდე კლასში მეცადინეობს, შემდეგ მან უნდა გაასწოროს სახლში 50—60 რვეული, ჟურნალ-გაზეთები მაინც გადაათვალიეროს, რომ არ ჩამორჩეს ცხოვრების მიმდინარეობას, ოჯახურ საქმეებს მიხედოს და მეტი დრო აღარ აქვს. კერძო გაკვეთილები კიდევაც რომ იშოვნოს, არა სცალიან და თუ მოიცლის თავისი პირდაპირი მოვალეობა უნდა შეაფერხოს; თუ გინდ მოიპაროს დღეში ორი-სამი საათი და იმეცადინოს კერძოდ, ბევრია თუ იშოვა წელიწადში 10—12 თუმანი, რადგანაც გაკვეთილებს ქუთაისში ფასი არა აქვს; აქ ყველგან შეხვდებით ისეთ პირს, რომელიც 3—4 მანეთად ამზადებს მოსწავლეს კერძოდ და მშობლებიც სიიაფეს მისდევენ.

იფიქრებს ვინმე, რომ აქაური მასწავლებელი სოფლის სახალხო მასწავლებელზე უფრო უზრუნველყოფილია, რაზედაც უნდა შევნიშნო, რომ სოფელში მასწავლებელს 360—400 მანეთს გარდა ეძლევა ბინა-შეშა, განათება და მსახური; ამასთანავე სოფელში ის აცილებულია ყოველივე ზედმეტ ხარჯს; დღეიდან სოფლის მასწავლებლებს ეძლევათ სამინისტროსაგან ყოველი ხუთი წლის შემდეგ პერიოდიული დამატება ოთხჯერ 60 მანეთი, ამასთანავე 1915—16 წლებიდან მათ მიეცემათ ძირითადი ჯამაგირი 480 მანეთი, მაშასადამე ისინი სოფელში უფრო უზრუნველყოფილნი დარჩებიან, ვიდრე ქალაქის მასწავლებლები.

აი როგორ მდგომარეობაში იმყოფებიან დღეს ქუთაისის საქალაქო სკოლების მასწავლებელნი! მათ თავისი მცირე ჯამაგირი კუჭის გამოსაძღომად რომ არ ყოფნით, ტანისამოსი რით ჩაიცვან, ან შვილები რა საშუალებით გამოზარდონ?! ვისაც ვაჟები ჰყავს, მას კიდევ კარგი რომ სწავლის ფული არ ჰხდებათ საშუალო სასწავლებლებში, და ვისაც ქალები ჰყავს, ის კი მთლად წყალ-წაღებულია, რადგანაც სწავლის ფულს ახდევინებენ 7—8 თუმანს წელიწადში. როგორც ჰხედავთ, მასწავლებელს სამოსწავლო მთავრობა სჯის თუ ვაჟი არა ჰყავს: „ისევ უნდა ეცადოს ქალები არ მოამრავლოს".—ამ მოკლე დროში ქუთაისის სასკოლო კომისიას ექნება მსჯელობა იმის შესახებ თუ რა საშუალებით გააუმჯობესონ მასწავლებლების მდგომარეობა; რასაკვირველია, მთავრობა სიამოვნებით მისცემს ქალაქს დახმარებას ხაზინიდან თითოეულ მასწავლებელზე 420 მანეთს, როგორც დადგენილია სამინისტროს მიერ, მაგრამ არ მჯერა რომ ამ დახმარებას ცუდი შედეგი არ მოჰყვეს, რასაც გვიმტკიცებს დღეს რუსეთში ერობებსა და სამინისტროს შორის ატეხილი ალიაქოთი, რომელიც გამოიწვია სახალხო განათლების მინისტრის ცირკულიარებმა საერობო სკოლების მართვა-გამგეობისა და მათ მასწავლებელთა უფლებების შევიწროების შესახებ. ამიტომ სასურველია ქუთაისის ქალაქის საბჭო მოახერხებდეს რამეს და ჯერ-ჯერობით თავისი საშუალებით გაუძლვებოდეს მასწავლებლებს, სანამ ერობები ბრძოლას დაამთავრებდეს და საკითხი გამოირკვეოდეს.

მართალია, ქუთაისზე უფრო მდიდარმა ქალაქებმა, როგორიც არიან ბაქო, ტფილისი და ბათომი, 1912—13 წლებიდან მიიღეს მთავრობისაგან სუბსიდია თითოეულ კომპლექტზე 420 მანეთი და ჯერ-ჯერობით მათთვის უფლებები არ წაურთმევიათ, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ მათი სკოლები დიდხანს დარჩეს თავისუფლად. პედაგოგიური ჟურნალ. „Народный учитель"-ში ვკითხულობთ: „ამ უკანასკნელ წლებში, როდესაც რუსეთში ერობებმა დაიწყეს მიღება „სახაზინო სუბსიდიისა" უფლება ინსპექციისა მასწავლებელზე მეტად გაიზარდა; სენატის განმარტებით სახალხო მასწავლებლები ერობის მოსამსახურენი კი არ არიან, არამედ ისინი ითვლებიან მთავრობის სამსახურში, ამიტომ სავსებით უნდა ემორჩილებოდნენ ინსპექციას". აი ამ გარემოებამ გამოიწვია ერობის მხრით პროტესტები ადგილობრივი თვითმართველობანის უფლებების დასაცავად. მას შემდეგ, რაც მინისტრმა გამოსცა ცირკულიარი, რომლითაც ინსპექტორებს მიანიჭა სრული უფლებები კანდიდატების მოძებნისა და დანიშვნისა მასწავლებლების ადგილზე, როგორც გადმოგვცემს იგივე პედაგოგიური ჟურნალი, კრასნოსლობოდის ერობამ ამა წლის 15 მარტს დაადგინა რათა შეინარჩუნოს ერობამ თავისი უფლებები სკოლის საქმეში, მომავალ სამოსწავლო წლიდან უარი განაცხადონ სახაზინო სუბსიდიის მიღებაზე, შეაჩერონ სასკოლო ბადის განხორციელება და აწარმოონ სკოლების საქმე ისევ წინანდელი წესით, ე. ი. განსაკუთრებით საერობო საშუალებით. პეტერბურგის ქალაქის საბჭოს სხდომაზე ხმოსანს ფალბორკს უთქვამს, რომ ის მინისტრის ცირკულიარში ჰხედავს უშველებელ ხიფათს. პეტერბურგის ქალაქის სკოლებში ითვლება დღეს 100 ათასი მოსწავლე, ქალაქი ყოველწლივ ხარჯავს სახალხო განათლების საჭიროებისათვის ხუთ მილიონ მანეთს და ქალაქმა უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე მთავრობამ მთლად მე-19 საუკუნის განმავლობაში. ამისათვის ყოველივე ძალით უნდა დაიცვას ქალაქმა თავისი ბუნებრივი უფლებები სკოლების მართვა-გამგეობაში; ახალი ცირკულიარი ეწინააღმდეგება როგორც ძირითადი კანონმდებლობის აზრს, ისე სენატის პრაქტიკას, რომელიც ყოველთვის იმ შეხედულების იყო, რომ სკოლების მართვა-გამგეობაში უფლება მეტი უნდა ჰქონდეს მინიჭებული იმ დაწესებულებათ, რომლებიც ხსნიან და ინახავენ სასწავლებლებს. ხმოსანმა ფალბორკმა დაამთავრა თავისი სიტყვა ასე: „ჩვენი საქალაქო სკოლები—ჩვენი სიამაყეა. ქალაქს არ მიუცია სამინისტროსათვის საბაბი ჩვენი უფლებების შეკვეცისა. ამისათვის ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ, არა უფლებების მარტო შენარჩუნებისათვის, არამედ შევეცადოთ უფრო გაფართოებას."

ამაზე სასკოლო კომისიის თავმჯდომარემ დ. პოტეხინმა შენიშნა, რომ სამინისტროს ცირკულიარი ჯერ არ შეხებია პეტერბურგის საქალაქო სკოლებს, ამიტომ დავიცადოთ, სანამ შემოღებულ იქნებოდეს და შეგვეხებოდეს, შემდეგ კი შევიმუშავოთ სხვადასხვა ზომები პროტესტისათვისო.

ამ დღეებში, როგორც გვაცნობა გაზეთებმა, სახალხო განათლების სამინისტროს გამოუგზავნია პასუხი სათათბიროს შეკითხვაზე, რომლის წაკითხვა და განხილვა სათათბიროს გადაუდევია სხვა დროისთვის. საინტერესოა, რას გვეტყვის მინისტრის პასუხი. ქალაქს ყოველთვის შეუძლიან სუბსიდია მოითხოვოს სამინისტროსაგან და კიდევაც მიიღებს არსებულ 15 კომპლექტზე 6,000 მანეთს, ხოლო ჯერ-ჯერობით ისევ თვითონ უნდა გამონახოს საშუალება და ცოტათი შეაკეთოს მასწავლებლების მდგომარეობა მით, რომ არსებულ ჯამაგირების გარდა მისცეს 200 მანეთი მაინც ბინისა და შეშისათვის, რაც დაუჯდება ქალაქს სულ ზედმეტი 2,000 მანეთი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სასკოლო კომისია დაკვირვებით გაითვალისწინებს ყოველივე ზემოხსენებულს და დასაბუთებულ მოხსენებას წარუდგენს ქალაქის საბჭოს ამის შესახებ.

ლადო ბზვანელი.

## მოხსენება

(შემდეგი*)

**საგნების ნუსხა.**

მომავალ სამეურნეო-სამრეწველო სასწავლებელში შემდეგი საგნები უნდა ისწავლებოდეს: საერთო განვითარების საგნები კვირაში:

სამღრთო სჯული 13, ქართული ენა 25, რუსული ენა 30, მათემატიკა 29, ბუნების მეტყველება 8, ფიზიკა 7, ისტორია 16, გეოგრაფია 9, ფრანგული ენა 21, ხელსაქმე 9, ხატვა 6, გალობა 3, ვარჯიშობა 4.

სპეციალური საგნები კვირაში:

გეოლოგია და მინერალოგია 3, ქიმია 4, ველის მეურნეობა 9, მეტეოროლოგია 3, მანქანების სწავლა 4, ზოოტეხნია 8, მებოსტნეობა 3, მებაღეობა 4, მევენახეობა 4, ბუჰგალტერია 1, საბეითალო ნაწილი 2, ჰიგიენა 1, პედაგოგიკა 2, მეოჯახეობა 2.

ამ საგნების შესასწავლად საჭიროდ იქმნა ცნობილი სამი მოსამზადებელი განყოფილებისა და შვიდი კლასის დაწესება—სულ ათი წლის სწავლა. მოსამზადებელი განყოფილება ჩვეულებრივი იქნება. შემდეგ სამი წელიწადი უნდა მოხმარდეს თეორიულ საგნებს, მეოთხე წელიწადს თეორიულ საგნებს უნდა მიემატოს ზოგი ერთი შინაური პრაქტიკული მუშაობაც, ხოლო მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე წელიწადს, ღვინობისთვიდან მაისამდე საერთო განვითარების საგნების სწავლა, ხოლო მაისის თვიდან ენკენისთვის დამლევამდე პრაქტიკული სამეურნეო და სამრეწველო მუშაობა ფერმაში. ამისათვის მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე კლასის მოწაფენი უნდა იქმნენ სოფლად წაყვანილნი სამეურნეო სადგურზე, სადაც უნდა იყოს აგრეთვე სამრეწველო განყოფილებაც.

ამ მიზნისათვის კნეინა მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურიან-ორბელიანისა ქალთა სამეურნეო სამრეწველო სასწავლებელს საკუთრებად სწირავს 118 დღიურს (59 დესეტინა) მიწას სოფელ ბენისში, გორის მაზრაში, კასპის სადგურიდან 10 ვერსის მოშორებით.

ხოლო სანამ ამ ადგილზე მოეწყობოდეს სამეურნეო სადგური ყოველ გვარ საჭირო სამრეწველო დარგებით, თავადი კონსტანტინე მიხეილის ძე ამირაჯიბი თანახმაა დროებით უსასყიდლოდ დაუთმოს ქალთა სამეურნეო-სამრეწველო სასწავლებელს საზაფხულო მუშაობისათვის თავისი სამეურნეო სადგური ყოველ გვარის მოწყობილობით და მანქანებით სოფელ ავლევში, გორის მაზრაში, გომის სადგურიდან 12 ვერსის მოშორებით. მხოლოდ საჭირო იქმნება საზაფხულოდ მოწაფეთა დასაბინავებლად დროებით შენობის აგება.

რასაკვირველია, უფრო მოხერხებული იქნებოდა, რომ სამეურნეო სამრეწველო სასწავლებლის სამუშაო სადგურისათვის ტფილისის ახლოსვე ყოფილიყო საკუთარი მამული.

შეიძლება ვინმე ქველმოქმედიც აღმოჩნდეს მომავალში, რომ საამისოდ საჭირო მიწა შესწიროს სასწავლებელს, მაგრამ სანამ ეს ნატვრა ასრულდებოდეს, მანამდე უნდა ვისარგებლოთ იმით, რაც ჩვენ ხელთ არის ე. ი. ჯერ-ჯერობით თავად კ. მ. ამირაჯიბის მამულით და მერე კნეინა მ. ვ. ჯამბაკურიან-ორბელიანის შემოწირული მამულით.

მთელი სასწავლებლის, სოფლად გადატანა კი უხერხულად იქნა ცნობილი, რადგანაც სხვა უპირატესობას უმთავრეს დაბრკოლებად ის მოჰყვებოდა, რომ სოფლად მასწავლებლების წაყვანა და დაბინავება ბევრ წილად უფრო მეტს ხარჯს გამოიწვევდა. ქალაქ ადგილს კი სხვა და სხვა მასწავლებელთა შოვნა და მოწვევა უფრო გაადვილებულია და მოსახერხებელიც.

სამეურნეო-სამრეწველო სასწავლებლის საგნების ნუსხა რომ შევადაროთ ჩვეულებრივ ქალთა გიმნაზიის შვიდი წლის კურსს შემდეგი განსხვავება იქნება: სამეურნეო-სამრეწველო სასწავლებლის საერთოდ ყველა 7 კლასში ცხრა გაკვეთილით ნაკლებია ფრანგული ენა, შვიდი გაკვეთილით ნაკლები ხელსაქმე, ექვსი გაკვეთილით ნაკლები ხატვა და ერთი გაკვეთილით ნაკლები გალობა: სამაგიეროდ მეტი არის ექვსი გაკვეთილი რუსული ენა, აგრეთვე მეტი არის ექვსი გაკვეთილი ანგარიში, მეტია ერთი გაკვეთილი ფიზიკა და მეტია ორის გაკვეთილით ისტორია. გარდა ამისა კიდევ ორმოცდა ათი გაკვეთილი მეტია სპეციალური საგნებისა, რაც სრულებით არ არის ქალთა გიმნაზიებში.

ამ შედარებითი ცხრილით ადამიანი ადვილად დარწმუნდება, რომ საერთო განვითარების უმთავრესს საგნებს, არა თუ ნაკლები დრო არ ექნება დათმობილი მომავალ სამეურნეო სასწავლებელში, არამედ ბევრად უფრო მეტიც. რომ შევადაროთ ვაჟთა შვიდ კლასიან გიმნაზიას ეს სასწავლებელი საგნების გაკვეთილების რაოდენობით სამეურნეო-სამრეწველო სასწავლებელი და ვაჟთა შვიდ კლასიან გიმნაზიაში სულ ერთნაირია.

**სამეურნეო-სამრეწველო სასწავლებლის ხარჯთ-აღრიცხვა.**

| | გაკვეთილი | ფასი გაკვეთ. | სულ მანეთი |
|---|---|---|---|
| სამღრთო რჯული . . | 13 | 60 | მ.780 |
| ქართული ენა 1—4 კლ. | 16 | 60 | 960 |
| „ „ 5—7 „ . | 9 | 75 | 675 |
| რუსული ენა 1—5 „ | 18 | 60 | 1080 |
| „ „ 5—7 „ | 12 | 75 | 900 |
| ანგარიში 1—3 . . | 12 | 60 | 720 |
| „ 4—7 . . | 17 | 75 | 1275 |
| ისტორია . . . . . . . | 16 | 70 | 1120 |
| გეოგრაფია . . . . . . | 9 | 60 | 540 |
| ბუნების მეტყველება . | 8 | 60 | 480 |
| ფრანგული ენა . . . . | 21 | 60 | 1260 |
| ფიზიკა და ქიმია . . . | 11 | 75 | 825 |
| ხელსაქმე . . . . . . . | 9 | 60 | 540 |
| ხატვა . . . . . . . . . | 6 | 60 | 360 |
| გალობა . . . . . . . . | 3 | 50 | 150 |
| ვარჯიშობა . . . . . . | 4 | 50 | 200 |
| პედაგოგიკა . . . . . | 2 | 75 | 150 |
| | | თვიურად | |
| გამგე უფროს ქალს . . | — | 150 | 1800 |
| მასვე ბინის ქირად . . | — | 50 | 600 |
| სამს აგრონომს წლიურად | 2400 | | 7200 |
| ორს თანაშემწეს . . . . | — | 1200 | 2400 |
| სამს მუშას . . . . . . . | — | 240 | 720 |
| | | თვიურად | |
| მკურნალს . . . . . . . . | — | 50 | 600 |
| პედაგოგიურ საბჭოს მდივანს | | 10 | 120 |
| წიგნთ-საცავ გამგეს . . | — | 10 | 120 |
| საქმის მწარმოებელს . | — | 75 | 900 |
| ორ მომვლელ ქალს თითოს | | 50 | 1200 |
| სამ მსახურს . . . . . . . | — | 20 | 720 |
| ერთ მსახურს დედა-კაცს | — | 12 | 144 |
| მზარეულს სოფლად 6 თვეს | | 15 | 900 |
| სასწავლო ნივთების წლიურად | | | 640 |
| საკანცელარიო ხარჯად წლიურად | | | 100 |
| საზაფხულოდ შენახვა 90 გავშვისა, დღიურად თითოზედ 30 კაპ. 5 თვეს . . . . . . . | | | 3375 |
| სამი მოსამზადებელი განყოფილების შენახვა . . . . . . . | | | 2860 |
| ლაბორატორიისათვის წლიურად . . . . . . . . . . . . . | | | 1000 |
| სულ . . . . | | | 36604 |
| გარდა ამისა ერთდროულად საჭიროა საზაფხულო ბინის ასაგებად და სხვა საჭირო წვრილმანების მოსაპოვებლად . . | | | 10000 |
| ერთად . . . . | | | 46000 |

(დასასრული იქნება).

## ქართული წარმოდგენები პეტერბურგში

შეიძლება ითქვას, რომ წელს პეტერბურგში ქართული წარმოდგენების სეზონი გვქონდა, რომელიც დასრულდა 25 აპრილს უკანასკნელად გამართულ წარმოდგენით. საერთოდ დიდი მადლობის ღირსია სცენის მოყვარეთა მიერ შემდგარი ჯგუფი, რომელმაც თავს იდო ასეთი მძიმე ტვირთი, როგორიც არის ქართული წარმოდგენების მართვა პეტერბურგში. ბევრ დაბრკოლებას განიცდიდნენ როგორც ტეხნიკური მხრივ, აგრეთვე მოთამაშეთა მცირე რიცხვის გამო, მაგრამ ამის და მიუხედავად საკმაოდ ეჩხნეოდათ საქმისადმი სიყვარული და ენერგია, რათა სისრულეში მოეყვანათ თვიანთი განზრახვა და ცდილობდნენ, რამდენადაც შესაძლებელი იყო პირნათლად გამოსულიყვნენ საზოგადოების წინაშე.

მით უფრო საყურადღებო და სიმპატიური იყო ამ ჯგუფის შრომა, რომ ყოველთვის წარმოდგენები საქველ-მოქმედო მიზნით იმართებოდა. ამას უნდა დავსძინო აგრეთვე ისიც, რომ ქართველთა რიცხვი ძლიერ ბევრია, მაგრამ ამ ზღვა ქალაქში ისე არიან გაფანტული სხვა და სხვა კუთხეში და ისე გაივლის მთელი წელიწადი რო ძვირად შეხვდები რამოდენიმეს ერთად თავ შეყრილს. წრეულ ეძლეოდათ მიზეზი ერთად შეგროვებისა და ამ რიგათ დაეყოთ 6—7 საათი და სცენიდანაც ქართული ენა მოესმინათ. ყველა აქ თავშეყრილი ქართველები მოგაგონებდათ ერთ მკვიდრ ოჯახს, რომელნიც თითქმის ყველა მათგანი ერთმანეთს იცნობენ. ესწრებოდა აგრეთვე სხვა ტომის საზოგადოებაც ყოველთვის, მაგრამ ძლიერ განსაზღვრული რიცხვი.

დაიდგა შემდეგი პიესები „ელეონორა" ა. ყაზბეგისა შ. შ—ძის მიერ გადმოკეთებული, „პატარა კახი" აკაკისა, „ირინეს ბედნიერება" და „სამანიშვილის დედინაცვალი" დ. კლდიაშვილისა. „უბედური დღე" ვ. ბალანჩივაძის. უკანასკნელათ „კონსტანტინე ბატონიშვილი" ა. ყაზბეგის მცირე შენიშვნა ზოგიერთ მაქერალთ და მოთამაშეებს: წარმოდგენების დროს გაიგონებდით უაზრო შენიშვნებს. სამხატვრო და საიმპერატორო თეატრების მსახიობთა ყურებით ზოგიერთ გატუტუჩებულთაგან, და იმის ანგარიშს თავს არ აძლევდნენ, რო ისინი სცენის მოყვარეებს უცქერდნენ ათას გვარი დაბრკოლებით და არა პროფესიანალურ მსახიობთ, რომლიდანაც სრული ანგარიშის მოთხოვა შეიძლება. ვესწრებოდი ყოველთვის ზემოდ აღნიშნულ წარმოდგენებს და აგრეთვე სხვებსაც ახლოს მდგომ საქმესთან, მადლობის მეტი არა ეთქმის რა, ვინაიდგან თვით მოთამაშეთ უხდებოდა ერთსა და იმავე დროს ყოველი უკანასკნელი საქმის შესრულება. აგრეთვე შევეხები იმ სცენის მოყვარეთ, რომელთაც წელს ყოველთვის უხდებოდათ თამაში.

ქ-ნ ა. ჩხეიძის ასულს უხდებოდა ბევრს იმის შეუფერებელ როლის შესრულება, მაგრამ ცდილობდა დაეძლია და მართლაც, ასე ხდებოდა, ვინაიდგან ამ ახალგაზრდა სცენის მოყვარეს საკმაო სასცენო ნიჭი ემჩნევა და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ თუ მისდია თავის დის კვალს რომ საპატიო ადგილს დაიჭერს ჩვენს სცენაზე. ბ. მ. შოთაძეს ჩვენი სცენის მეთვალყურენი კარგად იცნობენ და აღარ შეუდგები იმის გარჩევას, ვინაიდგან საკმაო დახელოვნებულია და სცენაც კარგად ესმის, მის მიერ შესრულებული როლები ყოველთვის სიამოვნებას იწვევდა. ბ. პ. ქავთარაძის მოხდენილი თამაში და ა. არაბიძის დ. კლდიაშვილის კომედიებში საკმაო სიცილს იწვევდა საზოგადოებაში, თუმცა ხანდახან როლის გაბეჯითებით ცოდნას ღალატობდნენ.

ბ. დ. ჩხეიძე, რომელიც საკმარისად დაჯილდოვებულია სასცენო გარეგნობით და მასთანვე ხმით ყოველთვის დაკვირვებით ასრულებდა მის მიერ ნაკისრ როლს და მთლიან შთაბეჭდილებას სტოვებდა: თუ არ მივაქცევთ ყურადღებას სცენის მოყვარესათვის უმნიშვნელო დეფექტს, როგორიც არის იარაღის ხმარება სცენაზე. ბ. ა. მგალობლიშვილს არა უშავდა საერთოდ, მხოლოდ უნდა მივაქციო ამ ახალგაზდა სცენის მოყვარის ყურადღება შემდეგ გარემოებას: სრულიად შეუფერებელია სცენაზე ისე თავის დაჭერა, როგორც მას უჭირავს თავი, ე. ი. ხელების ჰაერში ტრიალი და სიმღერით ლაპარაკი, რომელიც სრულიად შეუფერებელია ამ ხანაში, მით უფრო ქართულ ენას სრულიად არ შეჰფერის. იმედია შემდეგისათვის ეცდება ამ საყურადღებო ნაკლის აცილებას. ქ-ნ ლ. ნიკოლაიშვილს ურჩევთ მეტი ყურადღება მიაქციოს ქართული ენის ცოდნას.

ა. ლხილაშელი.

## სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშ. პეტერ. სააგენტო)

(გაგრძელება)

**12 მაისის სხდომა.**

**პაპაჯანოვი** ამბობს, აქ ჩვენ ლაპარაკი ოსმალეთის სომხეთის პოლიტიკურ უფლებების შესახებ კი არა გვაქვს, არამედ ამ ხალხის არსებობის შესახებ. (ტაში ცენტრში). საგარეო საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა მიიღეს საბიუჯეტო კომისიის ფორმულით.

**ანტონოვი** მოახსენებს საბიუჯეტო კომისიის დასკვნას იუსტიციის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.

**მაკლაკოვის** აზრით რუსეთში სა-

---

*) იხ. „სახალ. გაზ." № 1186.

ართალი ვერ არის სასურველ სიმაღლეზე დაყენებული. მხოლოდ იქ, სადაც მთავრობა მორჩილია სასამართლოსი და აზრად არ მოუვა მისი ძანებლობა, შეიძლება შეიქმნას ლეგილი წესწყობილება. ჩვენ ვხედავთ, რომ გერმანიაში მოიჯარადრე ჩივის თავისს იმპერატორს და საქმეს იგებს ინგლისში მეფე სასამართლოში ეძებს თავის სახელის დაცვის ცილისწამებისგან. ჩვენ (....?) ჩვენი მართლა ნაციონალური უბედურებაა, რადგან სასამართლოს არ რწმენა, კანონის ძალის არ რწმენაა. იმ წუთიდან, როცა სასამართლო პოლიტიკური ბრძოლის იარაღად გამოაცხადეს, გაჩნდა საზოგადოების ცხოვრებაში ახალი წყლული—რუსეთის მთავრობა დაექვემდებარა პოლიტიკურ პარტიებს.

**კერენსკი.** ახასიათებს იუსტიციის მინისტრის მოქმედებას. ლაპარაკის დროს თავმჯდომარემ რამდენჯერმე გააფრთხილა. კერენსკიმ თავის სიტყვა იმ გვარად გაათავა, რომ თავმჯდომარემ მას სიტყვის თქმის უფლება წაართვა.

**დიმშა** მოაგონებს, რომ აქამდის პოლონეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ შემოუღიათ და ვარშავის სასამართლო პალატასთან ნაფიც ვექილთა საბჭო არ გაუხსნიათ. მოსამართლე და მცხოვრებნი ერთმანეთისას ვერაფერ იგებენ, სასამართლოსა და ხალხს შუა კავშირი გაწყვეტილია, პოლონელებს სასამართლოს სამსახურიდან ერეკებიან. ამ პირობებში პოლონელი ხალხის წარმომადგენლები იუსტიციის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვას მხარს ვერ დაუჭერენ.

შემდეგი სხდომა საღამოთი.

საღამოს სხდომაზე **როძიანკო თავმჯდომარეობს.**

**გრონიცკი** მოახსენებს სასამართლოს რეფორმათა კომისიის მიერ შემუშავებულ კანონპროექტს სახელმწიფო სათათბიროსა და საბჭოს არჩეულ წევრების პასუხისმგებლობის შესახებ იმ აზრებისა და სიტყვებისთვის, რომლებსაც ისინი იტყვიან თავისი მოვალეობის ასრულების დროს. კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დეპუტატები სრულიად თავისუფალნი უნდა იყვნენ და პასუხი არ უნდა აგონ იმ სიტყვების გამო, რომლებსაც თავისი მოვალეობის ასრულების დროს წარმოსთქვამენ.

ხმის უმეტესობით ნაციონალისტების წინააღმდეგ უარჰყვეს ნაციონალისტების მიერ შეტანილი წინადადება, კანონპროექტი უკან დავუბრუნოთ, რომ უფრო დაწვრილებით შეიმუშავონო. კანონპროექტის მსწრაფლ განხილვა მიიღეს.

**სკობელევი** აცხადებს, რომ ჩხეიძის სამართალში მიცემა, ეს იმისი ცდაა, რომ ხალხის წარმომადგენლების უფლება შეიზღუდოსო. თუ სიტყვის თავისუფლება არ იქნება, ისე არც კანონმდებლობის თავისუფლება იქნება.

### 13 მაისის სხდომა.

**როძიანკო თავმჯდომარეობს**, შემდეგ **კონოვალოვი.** სხვათა შორის განსახილველია შეკითხვა ტენტელევის ქიმიურ ქარხანაში მუშების მოწამვლის თაობაზე. იუსტიციის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა გრძელდება.

**მახლენიკოვი.** იუსტიციის მინისტრის მოღვაწეობა საძირკველს ურყევს სამართლიანობის საქმეს, სასამართლოს პოლიტიკურ ბრძოლის იარაღად ჰხდის; მინისტრი სენატს სახელს უტეხავს და სცდილობს რომ სასამართლო მთავრობის ბრძანებათა აღსასრულებელ ასპარეზად აქციოს. მხოლოდ სასამართლოს ასეთს მიდრეკილებას უნდა მივაწეროთ, რომ ამ ბოლო ხანს პოლიტიკურ საქმეების გამო სასტიკი განაჩენები გამოაქვთ. სასამართლო ხალხის სინიდისის დამცველი უნდა იყოს, და როდესაც სასამართლოშიაც შეიჭრა პოლიტიკა, სჩანს სასამართლოს დამოუკიდებლობა მოსპობილ. ა. ასეთი მდგომარეობა არყევს სახელმწიფოს საძირკველს და ქვეყანას გათახსირებისაკენ მიაქანებს. (ტაში მარცხნივ).

**შუბინსკი.** ერთი მოლაპარაკე იქამდისაც კი მივიდა, რომ ბეილისის საქმეს უწოდა წარმოდგენა დიახ, ეს მართლა წარმოდგენა იყო; სადაც საწყალი ოჯახობა, რომელმაც ბავშვი დაჰკარგა, ებრძოდა სახელგანთქმულთა არეოპაგს. „ორთავიან არწივის“ სახელით არ შეიძლება მოინეთლოს ის ხალხი, ვინც ამ ოჯახს დაეხმარა: შესწირა თავისი ძალ-ღონე, დრო სრულის უანგაროებით და სწამდათ მათი საქმის სიმართლე.

ამ, „ორთავიან არწივთან“ რომ აღმოეჩინათ კანტორა, რომელსაც ჰყავს მეტრანპაჟი, რომლის სახელობაზედაც საიდანაც მოდიოდეს აუარებელი ფულის ამანათები... (მარჯვნივ ტაში, მარცხნივ ხმაურობა).

**მილიუკოვი.** (ადგილიდან) გაიძვერა! სალახანა!

**პურიშკევიჩი** (მილიუკოვს ადგილიდან) „პირუტყვი, მყრალი, გასილაქული!..

**შუბინსკი** (მილიუკოვს) ვაფურთხებ გაიძვერას!..

დარბაზში ხმაურობაა. თავმჯდომარე სთხოვს დამშვიდდნენ.

**კერენსკი** (ადგილიდან) შუბინსკი უსირცხვილო მატყუარაა.

დარბაზში ხმაურობა მატულობს.

**თავმჯდომარე კონოვალოვი** წინადადებას იძლევა ერთის სხდომიდან გააძეონ მილიუკოვი, კერენსკი და პურიშკევიჩი. სამივე გააძევეს თითო სხდომიდან.

**შუბინსკი.** მე რომ რევოლვერი მქონოდა, არ ვიცი რას ჩავიდენდი. (ხანგრძლივი და ძლიერი ტაშის ცემა მარჯვნივ და ცენტრში).

**თავმჯდომარე** წინადადებას იძლევა, შუბინსკი ერთი სხდომიდან გააძეონ. 108 ხმით 90 წინააღმდეგ ეს წინადადება უარჰყვეს, კარში გასვლით უარჰყვეს იგი 111 ხმით 108 წინააღმდეგ. 8 თავი შეიკავა. (ხანგრძლივი ტაშისცემა მარჯვნივ და ცენტრში).

კრება დროებით შესწყდა.

**ვარუნ-სეკრეტი თავმჯდომარეობს.**

**ჩხენკელი.** სათათბიროს უმრავლესობა მთავრობის მხარესაა დაჩაგვრისა, კაცთ-მძულვარებისა და ებრაელთა ჟლეტის საქმეში. მისის აზრით სწორედ ეს უმრავლესობა უნდა დასხან სასამართლოს სკამებზე, რადგანაც იგინი აწარმოებენ კლასიურ პოლიტიკას. სიტყვის დასასრულს, ჩხენკელი ეხება „მინისტრის საჭურისის შუბინსკი ნალაპარაკებს“.

**თავმჯდომარე** შეაჩერებს ჩხენკელს და ერთის სხდომიდან მის გაძევებას მოითხოვს 141 ხმით 70 წინააღმდეგ ჩხენკელი ერთი სხდომიდან გააძევეს.

**იაგელო.** პოლონეთში მსაჯულები რეაქციისა და გარუსების იარაღს წარმოადგენენ. ნაფიც-მსაჯულთა სასამართლო არ არსებობს. დღეს სასამართლო მუშათა კლასის შურის საძიებელ იარაღად გადაქცეულა.

**მანკოვი** ამჟღავნებს ირკუტსკის სამოსამართლო პალატის უფროს ბრალმდებლის საიდუმლო ცნობას, სადაც ნათქვამია, რომ მსაჯულებმა დაჰკარგეს დამოუკიდებლობა და პოლიტიკას აჰყვნენო.

**ფრიდმანი.** ბეილისის საქმე იყო ტრაგიკული გასამართლება ებრაელებისა, განსაზღვრულ პოლიტიკურის მოსაზრებით მოწყობილი, მაგრამ რუსი ხალხის სინიდისი ამწიოკებელთა მოწოდებას არ აჰყვა. რუსის უბრალო გლეხებმა გადაარჩინეს რუსის სასამართლოს ღირსება.

იუსტიციის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა და საბიუჯეტო კომისიის ფორმულა მიიღეს. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დასაჩქარებლად გადასწყვიტეს პარასკევსა და შაბათს ორ-ორი დამატებითი სხდომა გამართონ.

შემდეგი სხდომა პარასკევს მოხდება.

## სახელმწიფო საბჭო

### 12 მაისის კრება.

**აკიმოვი თავმჯდომარეობს.** მინისტრთა ლოჟაში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და სხვა მინისტრებია. საბჭომ განსაკუთრებულ კომისიას გადასცა ქალთა გიმნაზიებში მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესობის კანონ-პროექტი, განიხილა რამდენიმე წვრილი კანონ-პროექტი და გადავიდა ვარშავისა, კალიშისა, კელეცისა, ლომჟინისა, ლიუბლინისა, პეტროკოვისა, პლოცკისა, რადომისა და სუვალკის გუბერნიებში ქალაქების მმართველობის შეცვლის კანონ-პროექტზედ. თავმჯდომარემ მოაგონა, რომ ეს კანონ-პროექტი მესამედ ირჩევა საბჭოში; ამ ჟამად, მისი შემთანხმებელ კომისიაში განხილვისა და სათათბიროს მიერ მიღებისა უმთავრესი საკითხის—ენის შესახებ შემთანხმებელი კომისია ერთს დასკვნამდე ვერ მივიდა, და სათათბირო განსაკუთრებულს აზრს დაადგა. ამის გამო საბჭოს თავმჯდომარე ამ საკითხს კვლავ საბჭოს აძლევს განსახილველად.

**კობილინსკი.** საბჭომ კარგად გადასწყვიტა ეს საკითხი. მისი შეცვლა არა ღირს. ძირითადი კანონების მესამე მუხლი რუსულ ენას სახელმწიფო ენად აცხადებს. პოლონეთში რუსული ენა ყველამ იცის. შეიძლებოდა შეუზღუდველად დაგვეტოვებინა რუსული ენა. მაგრამ კომისიამ ყოველგვარად დაუთმო: სავალდებულო დადგენილებანი და უწყებანი პოლონურ ენაზედაც იბეჭდება, მცხოვრებთ შეუძლიანთ საქალაქო მმართველობაში ქაღალდი შეიტანონ და პასუხი მიიღონ პოლონურ ენაზედ; საარჩევნო ბარათები შეიძლება პოლონურ ენაზედ მისცენ. ხმოსნებიდან კი რომ მეტი ცოდნა მოვითხოვოთ რუსული ენისა, ეს ბუნებრივია, მაგრამ მათგანმა მაინც ბევრმა არ იცის რუსული, მას შეუძლიან ან მეზობელს დაავალოს და ათქმევინოს, ან წერილობით გადასცეს.

საბჭომ 87 ხმით წინააღმდეგ 71 ხმისა უარჰყო პოლონური ენის ხმარება საქალაქო საბჭოსა და გამგეობებში სხდომის დროს.

**თავმჯდომარე.** ამის შემდეგ თვით კანონ-პროექტიც მაშასადამე ისპობა. თავმჯდომარემ სხდომა დახურა და შემდეგი კრება 16 მაისისთვის გამოაცხადა.

## სომეხთა ცხოვრება

◆ **დიდიხაზინის აღმოჩენა.** „მშაკ“ სწერს: 10 მაისს, სოფელ გამზახიმანციდან მოვიდა ერთი ყმაწვილი და შეატყობინა ბოქაულს, სოფელ გამზახიმანცის გვერდით არის მალაკნების სოფელი ნიკიტიკო, სადაც რუსმა გლეხმა, მიწის თხრის დროს ეზოში, ნახა ორი დიდი ქვაბი ოქრო, ჯვრები და სხვა ძველი ნივთები. რადგანაც ეს სოფელი ძველ დროს სომხების იყო, რომელსაც ამტკიცებს დღესაც მყოფი ეკლესიების ნანგრევები, ადვილი შესაძლებელია, რომ ეს ფული იყოს ძველი სომხური ოქროს ფული. ძრიელ გასახარებელი იქნება, რომ არქეოლოგიურმა საზოგადოებამ გასინჯოს ეს ნაპოვნი ხაზინა და გაიგოს ვის ეკუთვნის, ან რომელ ერს, აგრეთვე მოსძებნონ კიდევ სხვა ადგილას ამ სოფელში, რადგან კიდევ შეიძლება, რომ იყოს ბევრი ძველებური ნაშთები. ბოქაულმა, როგორც მიიღო ეს ცნობები, იმავე დღეს წავიდა ზემოხსენებულს სოფელში. სამადუროვმა მალაკანმა ეს ალაგი იყიდა მეზობლისაგან, რომელიც ამ ცოტა ხანში გადავიდა ამერიკაში საცხოვრებლად. იმედი არის, რომ არქეოლოგიურის საზოგადოება არ დასტოვებს უყურადღებოდ ამ სოფელში მყოფ მრავალ ნაშთებს, ძიებაში.

◆ **სახოფლო-სამეურნეო სასწავლებელი.** ოსმალეთის ცნობილმა მდიდარმა სომეხმა მ. ხერიანმა ნახევარი მილიონი მანეთი შესწირა საზოგადოებას ორის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დასაარსებლად. ერთი ამ სასწავლებელთაგანი გაიხსნება კილიკიაში.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს დანიშნულია ი. **ევდოშვილის საღამო.** გერონტი ქიქოძე მეტად საგულისხმიერო ლექციას წაიკითხავს: „მოქანდაკე კონსტანტე მენიე“. ლექციის დროს ბუნდოვანი ფარნით უჩვენებენ საგანგებოდ ამ ლექციისათვის დამზადებულ სურათებს მენიეს ქანდაკებისას. ლექციის მერე დასდგამენ ვოდევილს „რაც არ მერგება, არ შემერგება“, ვასო აბაშიძისა, ტასო აბაშიძისა, ლიზა ჩერქეზიშვილისა, ა. ადამიძისა, ს. ივანიძისა და ს. ქივიძის მონაწილეობით. სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობენ: სოფ. მგალობლიშვილი, ნ. გოცირიძე, ადამ ადამიძე, ვ. გ. მახაბელი. საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობენ: ვანო სარაჯიშვილი, (იმღერებს რომანსებს), იოსებ სადირაშვილი (თარზე დაუკრავს), მ. კავსაძის გუნდი (შეასრულებს სიმღერებს), ქნ. მარ. ანდრონიკაშვილისა აკომპანიმენტს დაუკრავს.

იმედია, საზოგადოება არ მოაკლდება ამ საგულისხმო საღამოს, მით უმეტეს, რომ თავისი დასწრებით ხელს შეუწყობს ავადმყოფ მგოსნის საზაფხულო მკურნალობას.

**ევნატე ნინოშვილის დილა.** კვირას, 18 მაისს, ზუბ. სახალხო სახლში სახალხო უნივერსიტეტთან არსებული ქართული სექცია ჰმართავს ლიტერატურულ-მუსიკალურ დილას ეგნ. ნინოშვილის გარდაცვალებიდან ოცი წლის შესრულების აღსანიშნავად.

ახალი კლუბის დიდი სიმფონიური სიმებიანი ორკესტრი 60 კაცისაგან შემდგარი ივ. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით დაუკრავს სამგლოვიარო მარშს, ბიპეჩე შოპენიდან. შემდეგ წაკითხული იქნება რეფერატი. ქართველი ახალგაზრდა მგოსნები წაიკითხავენ ლექსებს ნინოშვილისადმი მიძღვნილს. სახალხო უნივერსიტეტთან არსებული მომღერალი ქართველ ქალთა გუნდი შეასრულებს რამდენიმე სიმღერას. დამსწრეთათვის უფასოდ დარიგდება ნინოშვილის ბიოგრაფია-სურათები. დასაწყისი დილის 1 საათზე.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

### 12 მაისი.

### უცხოეთი.

**ლონდონი.** ქვედა პალატაში დიდი მღელვარება სუფევდა. თავმჯდომარის განცხადებამ და ასკვიტის სიტყვამ საქმიანობის ხასიათი მისცა. ოპოზიცია შეეცადა წესიერება დაეცვა. პალატამ ჰომრულის კანონ-პროექტი მესამე კითხვის შემდეგ მიიღო 351 ხმით 274 წინააღმდეგ. კანონ-პროექტის კენჭის ყრის შედეგებმა ნაციონალისტების სიხარული გამოიწვია. კანონ-პროექტი მაშინვე ლორდთა პალატაში გაიგზავნა. ქუჩაში აუარებელი ხალხი შეიკრიბა. აუარებელი ირლანდიელიც იყო, რომელნიც კანონ-პროექტის მიღებას ვაშა · ძახილით მიეგება. ლონდონდერიში და ბელფასტში მოხალისეთა პატრულები იცავენ უნიონისტებს ნაციონალისტების გამოსვლისაგან. კათოლიკეთა სამღვდელოება ნაციონალისტებს ურჩევს დემონსტრაციებს მოერიდონ.

**ლონდონი.** ქვედა პალატის კრებები 27 მაისამდე შესწყდა.

**ბუდაპეშტი.** ავსტრიის დელეგაციამ უარჰყო ელენბოგენის წინადადება, რომ გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვა გადადებული ყოფილიყო, სანამ დურაცოში მომხდარს ამბების ანგარიშს არ წარმოადგენდნენ. ბიუჯეტი მიიღეს. სადისპოზიციო ფონდიც მიიღეს 27 ხმით 10 წინააღმდეგ.

**რომი.** ბისალოტიმ „მესა ჟერო და იტალია“-ში მოათავსა წერილი, რომელშიაც აღნიშნა, რომ იტალიას ჰსურს სამთა კავშირში ჩაიკეტოს, და თანაც უარი სთქვას ხმელთა შუაზღვაზე ინტერესების შეთანხმებაზე ინგლისი და საფრანგეთის ინტერესებთან. უკანასკნელთათვის ამის გამო უფრო სასარგებლო იქნება, რომ იტალ ა და ავსტრია ალბანეთის საკითხში გამოყოფილი იქნენ, რომ აღმოცენდეს კონფლიკტი იტალიასა და ავსტრიის შორის. მხოლოდ გერმანიას შეუძლიან ომის თავიდან აცდენა. სააგენტოს კორესპონდენტს სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, რომ იტალიას გულწრფელი სურვილი აქვს ავსტრიას იტალიის ჩარევა აიცდინოს და საერთოდ ყველა სახელმწიფოს ჩარევა ჰსურს, რასაც ჯერ-ჯერობით ინგლისი ეწინააღმდეგება.

**ბუდაპეშტი.** ავსტრიის დელეგაცია. უკრაინელმა ვასილკომ მიაქცია ყურადღება იმას, რომ საჭიროა კეთილი მეზობლობა რუსეთთან, აღნიშნა, რომ სიცრუეა, ვითომც ავსტრიელი უკრაინელები პროპაგანდას ეწევოდნენ რუსეთში, და პროტესტი განაცხადა წინააღმდეგ რუსეთის ჩარევისა ავსტრიის საქმეებში, რაიც გამოიხატა იმაში, რომ საზონოვმა ილაპარაკა რუსეთს საწინააღმდეგო მოძრაობის შესახებ ავსტრიაში. ბერტჰოლდმა საპასუხოდ სთქვა: ჩემი ნათქვამი ლევიცკიმ და ვასილკომ სწორედ არ გაიგეს; ყოვლად შეუძლებელია იმაზე ლაპარაკი, რომ რუსეთის რაიმე გავლენა ჰქონდეს ჩვენს შინაურ საქმეებზე; ჩვენ დიდის ინტერესით ვადევნებთ თვალყურს ავსტრიის უკრაინელების კულტურულ მოძრაობას.

**ბელგრადი.** სკუპშჩინაში კანონ-პროექტი შეიტანეს საგანგებო სამხედრო კრედიტის შესახებ, რომელიც განზრახულია 123 მილიონად, სკუპშჩინამ იგი სასწრაფოდ სცნო, ამ თანხიდან 93 მილიონი ნავარაუდევია შეიარაღებისათვის, დანარჩენი ტანსაცმელისათვის.

**ბელგრადი.** სკუპშჩინამ მიიღო კანონ-პროექტი შემცირებულ სამხედრო ბეგრის ვადის გადიდება 6-დან 12 თვემდე.

**ბრიუსელი.** დამატებითი არჩევნებზე მემარჯვენეებმა ბევრი ადგილი დაჰკარგეს.

**ლისაბონი.** პალატაში შეიტანეს კანონ-პროექტი, რომლითაც მოითხოვენ თანხას ახალი არსენალების და ფლოტის ასაგებად.

**სალონიკი.** ბაში-ბუზუკები და ოსმალო ჯარის-კაცები ოსმალეთის ფრაკიაში სოფ. კეჩანის მიდამოებში თავს დაესხნენ მცხოვრებლებს, დაჰხოცეს ისინი ქალები წაიყვანეს. იტყობინებიან რომ სოფ. სუფლი, მარიცა და ჰარიაში 30 მოკლული ბერძნის გვამი აღმოაჩინეს, მათ რიცხვში ორი მღვდელი.

**თეირანი.** ქუმაში სირიოზული არეულობა მოხდა. ბაზრები სულ დახურულია.

**კატანია.** მიწის ძვრისგან, როგორც ხმებია, დაზიანდა ცევერანა და ვია-გრანდე.

**ციციკარი.** 50 ჩინელი ჯარის კაცი ღამით შეეცადა პროვინციალური ბანკის გაძარცვას და უწესო სროლა ასტეხა. ბანკი ვერ გაძარცვეს, რადგან გასაღებები ვერ დაამტვრიეს.

### არეულობა ალბანეთში

**დურაცო.** გუშინდელმა ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. დილით პოლკოვნიკი მარიკიო შიაქში გაემგზავრა დაჭრილთა წამოსაყვანად. დაბრუნებულია 160 დატყვევებული. საკონტროლო კომისიამ მთავრობასთან ითათბირა.

**ხკოპლე.** დურაცოდან მოსულ ცნობების მიხედვით, ალბანელი მაჰმადიანები მოითხოვენ ალბანურ შკოლებს მხოლოდ ქალაქებსა და მაჰმადიანურ სოფლებში. ხოჯების ჯამაგირების მომატებაზე სამხედრო ბეგარიდან მაჰმადიანთა განთავისუფლებას ხუთის წლით, კაბინეთის შეცვლას, რომ შემდეგში კაბინეთში მონაწილეობს ფაშები და ბეგები არ იღებდნენ. ავტონომიის მომხრე პარტიები მოლაპარაკების შედეგებით კმაყოფილნი არიან.

**ბერლინი.** გერმანია პრინციპიალურად თანახმაა მონაწილეობა მიიღოს დურაცოში ჯარის გაგზავნის საქმეში. მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ზომას ავსტრიისა და იტალიის გარდა სხვებიც მიმართავენ და საერთაშორისო ხასიათი თუ იქნება დაცული.

**ვენა.** დურაცოდან იუწყებიან, რომ 11 მაისს ავსტრიის ჯავშნიანი გემი „სანქტ-გეორგი“ ჩავიდა და თან ჩაჰყვა ნაღმოსნების მთელი ფლოტილია. ავსტრიის გემის ექიმი ქრილობის შესახვევ მასალებით შაიქისაკენ გაემართა. მეამბოხეთა მოთხოვნილება ეხება მხოლოდ მაჰმადიანთა სარწმუნოების შენარჩუნებას. აგრეთვე მათ სურვილი გამოსთქვეს, რომ დახმარება აღმოუჩინოს ოსმალეთს მტრების წინააღმდეგ. ესად-ფაშის შესახებ არავითარი მოთხოვნილება არაა წამოყენებული.

**ვენა.** დურაცოდან იტყობინებიან, რომ კავაიაში 500 მეამბოხემ მთავრობის მოხელენი გარეკეს და ოსმალეთის დროშა აღმართეს, გუბერნატორი დანიშნეს და ავტონომია გამოაცხადეს. ამასთანავე გაისმოდა ხმები „გაუმარჯოს ალბანეთის მეფეს ესად-ფაშასაო“. ღამით პიაკის მახლობლად შეტაკება მოხდა ჟანდარმებისა და მეამბოხეთა შორის. მეამბოხენი რიცხვით მეტნი არიან და ტყვიის მფრქვეველებიც აქვთ.

**რომი.** იტალიის მთავრობა მოითხოვს, რომ დურაცოში საერთაშორისო ექსპედიცია იქნას გაგზავნილი.

**რომი.** დურაცოდან იტყობინებიან, რომ მეამბოხეთა მიერ ტყვედ წაყვანილი ჰოლლანდიის კაპიტანი დურაცოში ჩავიდა და შეატყობინა, რომ მეამბოხეებს მოლაპარაკება ჰსურთ საკონტროლო კომისიასთანაო. რადგან სხვა წევრები კომისიისა არ იყო, ამის გამო მათთან იტალიის ელჩი წავიდა. მეამბოხეთ განაცხადეს, რომ მათ არა ჰსურთ რომ თავისი ბედი ევროპის ხელში გადავიდეს.

### რუსეთი.

**ორენბურგი.** საზაფხულო თეატრი დაიწვა. ყარაული დაიღუპა.

**ხარბინი.** ათი შეიარაღებული ავაზაკი, ჩინურ ტანისამოსში გამოწყობილი, ღამე დაეცა მეარტელე ბლინოვს, რომელსაც 30000 მანეთი მიჰქონდა. ბლინოვი და ერთი ჯარის კაცი მოჰკლეს, მეორე მძიმედ დასჭრეს. სამხედრო მინისტრი გუშინ პეტერბურგს წავიდა.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოს პირველმა დეპარტამენტმა 1) გაარჩია სახელმწიფო სათათბიროს წევრის ჩხეიძეს პასუხისმგებლობის საქმე 129 მუხლის ძალით იმ სიტყვის გამო, რომელიც ჩხეიძემ სათათბიროში წარმოსთქვა და დაადგინა, დაინიშნოს წინასწარი გამოძიება. 2) გაარჩია ობერ-პროკურორის დასკვნა სახელმწიფო სათათბიროს 34 წევრისა, რომელთაც სათათბიროს ყოფილი წევრის გოლოლობოვის შესახებ შეკითხვას ხელი მოაწერეს, დაადგინა პირველი სამი ხელის მომწერელი უმაღლესს სამართალში მისცენ ცილისწამებისთვის, დანარჩენთა საქმე მოსპონ.

გაიხსნა ბაღოსნობისა [illegible] საერთაშორისო გამოფენა, რომელსაც [illegible] შენობა უჭირავს და თავრიდის ბაღის ნაწილი. ოფიციალურად მონაწილეობას იღებენ საფრანგეთი, გერმანია, ჰოლანდია, ბელგია.

**ბათომი.** ზღვაზე ქარიშხალია.

## ანგარიში

ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბაქოს განყოფილების წიგნებათა გასამდიდრებლად ბაქოს საზოგადო საკრებულოს დარბაზში 25 იანვარს 1914 წელს გამართულ ჩვეულებრივ XXIII-მე ქართული საღამოსი.

**შემოსავალი:** გაყიდულ ბილეთებიდან 1.681 მ. და 60 კ., ფულით შემოწირულებანი: 3.178 მ., ყვავილების გაყიდვიდან 1301 მ., შამპანიურიდან 909 მ., ბუფეტიდან 849 მ., და 85 კ., „ბაზრიდან“ 609 მ. და 50 კ., ანკესიდან 381 მ. და 40 კაპ., საჩაიე მაგიდიდან 301 მ., „გადასაგდებ რგოლებიდან“ 168 მ. და 65 კ., „ბედნიერების გასაღებიდან“ 137 მ., პროგრამების გაყიდვიდან 106 მ. და 90 კაპ.

**სულ: 9623 მ. და 90 კ.**

**გასავალი:** ბაქოს საზოგადო საკრებულოს შენობის ქირად მიეცა: 225 მ., ოპერის მსახიობს ი. პ. სარაჯიშვილს 365 მ., ოპერის მსახიობს ქ-ნ ტ. ი. საბანეევას 350 მ., მომღერლებს ი. პ. ტომაშევიჩს 150 მ., და ვ. ლორთქიფანიძეს 100 მ., დრამატიულ მწერლების კავშირს მსახიობის ვ. ი. პეტროვის საღამოში მონაწილეობისათვის 25 მ., სიმებიან ორკესტრს 105 მ., სხვადასხვა რედაქციებს გაზეთში განცხადებების მოთავსებისათვის 131 მ. და 25 კაპ., ზედ-მეტ განათებში 25 მ., სტამბას აფიშა — პროგრამების დაბეჭდვისათვის 30 მ. და 50 კ., დალაქს 8 მ., საზანდარ-მედუდუკეთ 45 მ., მსახიობ ქალის ე. ა. ალეხი-ვოლსკაიასთვის აკომპანიმენტის დამკვრელს 20 მან., მარკებში, ფოსტის ხარჯი, ტელეგრამებში და საბილეთო წიგნაკში დაიხარჯა 70 მ. და 10 კ., ყვავილთა თაიგული მსახიობ ქალთათვის 24 მ., პატენტი მაგარ სასმელებისათვის 13 მ. და 50 კ., ლაქიებს და სხვა დარგის მოსამსახურე პირებს 68 მ., ბუფეტს 170 მ. და 25 კ., „ბაზრის“ მოსაწყობ ბარგების შესაძენად 218 მ. და 85 კ., როიალის ქირა 35 მან., ყვავილებში 70 მ., მისაღებ საპატიო ოთახის გაწყობა დაჯდა 189 მ. და 50 კ., წვრილმანი ხარჯი 17 მ. და 12 კ.

სულ 2.456 მ. და 07 კ.

წმინდა შემოსავალი: 9.623 მ. და 90 კ.—2.456 მ. და 07 კ.=**7.167 მ. და 83 კ.**

შემოვიდა საპატიო ბილეთებიდან შემოწირულების სახით: ი. ა. მანსვეტაშვილი 200 მ., ე. გ. ნაგიევისა 112 მ., ა. მ. ბენკენდორფი, თავ. ნ. ა. ჩოლოყაშვილი, თავ. ლ. პ. ნაკაშიძე, ძმ. მაილოვები, ა. მუსა-ნაგიევი, გ. ზ. ა. თაღიევი, ა. მ. ხოშტარია—100 მ. თითომ. პ. ღ. მარტინოვი 85 მ. ა. ს. ქრელაშვილი 61 მ. და 50 კ., მ. პ. კორსაკოვი, ა. გ. ლესნერი, ა. ი. მანთაშევი და კომპ., მ. სალიმოვი, თავ. ვ. მ. ერისთავი, ნავთალანის ნავთის სამრეწველო საზოგადოება, მ. შ. ასადულაევი 50 მან. თითომ; თავ. ლ. ა. თუმანიშვილი 40 მ., ნ. ი. ჯაყელი, ნ. პ. იოსელიანი 35 მ. თითომ; ა. გ. ვაჩნაძე 30 მ., თავ. ს. დ. ჩიქოვანი 28 მ., ს. ხ. თუმანიანცი, ლ. ლ. ბარდსკი, კ. ა. მუხთაროვი, ს. ი. გინზბურგი, გ. ა. ნაზარიანცი, ვ. ი. გალპერინი, კ. გ. პიტოევი, რ. ვ. კაიზერი მ. ს. გასანოვი, არტამ. თუმანიანცი, გ. ზ. თუმანიანცი, ა. ა. სარქისოვი, ხ. ნ. ციტახცევი, გადჟი კასუმოვი, მ. ი. პოპოვი, მ. ა. ძამიკონოვი, ა. ს. კრასილნიკოვი, ა. კ. ტარაევი, ფ. ო. ანტონოვი, ამირ ასლანოვი ნური, ალა ჰუსეინ თაღიევი, პ. მ. ცატუროვი, ვ. ს. აკოპოვი, მურტუზა მუხტაროვი, ს. ა. ვონსოვიჩი, ალეკპერ-ბეკ აშურბეკოვი, ვ. ნ. ტერ-ოსიპოვი, ვ. ი. ნახანსკი, ნადუფყული სადიხოვი, გადჟინსკი ისა-ბეკ, ზ. ვ. სელიმხანოვი, ნ. შაგიდანოვი, რუბენ ლელაევი—25 მ. თითომ; ა. ნ. კანდელაკი, ბ. ი. შხიანცი, მ. ი. გონიანცი, შახი ბ.-ბეგი რუსტამბეკოვი, ფ. პ. გედმანი, ლ. ე. მელიკ-ნუბაროვი, ნ. მ. ძამიკონოვი, ტ. ნაგიევი, ს. ს. ტაგიანოსოვი, ლ. ს. სამელსონი, ზ. გასანოვი, ნ. რ. იაკუბოვიჩი—20 მ. თითომ; ი. ბ. ზელენკი, ფ. ბ. რუსტამბეკოვი, ა. კ. ლეონტოვიჩი, მ. ე. ლოლუა, ა. ს. ქადეიშვილი, ნ. ა. აივაზოვი, პ. ე. ცოვიანოვი, ა. ბ. საფარ-ალიევი, ტაგი-ბეკ-საფარ-ალიევი, საზოგადოება ბორნი—15 მ. თითომ. ლ. ვ. პოტულოვი, ა. ლ. ბრილინსკი, დ. დ. არუთიუნოვი, ს. ზ. თაღიევი, ს. ფ. სკრეიჩი, კ. მ. ადამოვი, ი. მერკელი, ა. ნ. კერესელიძე, თავ. კ. რ. ამირაჯიბი, ვ. მ. ქიქოძე, ს. მ. კვიტაშვილი, ა. ა. გუბმან, დაუდ-ხანი, ხან-ხოისკი, ა. ი.

კნიაზევი, ბ. ტესტენუარი, ა. პ. ვართანოვი, პ. პ. ფრეზე, ს. ვ. ბილინსკი, ს. ა. ვერმიშევი—10 მ. თითომ; ვ. მ. თურქაია 6 მ., ი. ა. მანსვეტაშვილი 5 მ. და 10 კ., ი. ლ. ლიახოვიჩი, თავ. ა. გ. გელოვანი, ა. ი. ალხაზოვი, ა. ლ. გოცირიძე, ლ. კ. მამულაიშვილი, ლ. ლ. გოცირიძე, ს. ბ. თოფურია, ნ. ა. ხრომენკო, ა. ს. მირარხანიან, ვ. ვ. ალიშევსკი, ე. გ. საფაროვი, გ. ს. ჯინორიძე—5 მ. თითომ; თავ. ე. ი. აბამელიკი, დ. რ. შველიძე, ა. ბ. სარაჯევი, კ. ე. კახიძე 3 მან.—თითომ; თავ. ქალი ე. ა. წულუკიძე—2 მ. და 10 კ. პრემია ბილეთებიდან 1 მ. და 30 კ.

პასუხისმგებელი გამგე საღამოსი კნ. თ. გ. დადიანისა და ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების ბაქოს განყოფილების გამგეობა დიდ მადლობას მოახსენებს საღამოს დიასახლისებს: ქ.ქ. ტ. ხ. ასადულაევისას, მ. კ. ვონსოვიჩს, ე. გ. მარტინოვისას, ლ. ზ. მუხთაროვისას, ო. ა. სამელსონისას, ს. ვ. თალიევისას, და ა. ს. თუმანიანცისას საღამოს გამართვაში მონაწილეობისა და გარჯისათვის;—ძმ. აგასიევების, ძმ. ბოსტოგანაშვილების, ო. ბონ-მარშეს და ა. ი. ჯინჭარაძის მაღაზიებს სხვა და სხვა ნივთების შემოწირვისათვის; გაზეთ „კასპის" და „ბაკუს" რედაქციებს განცხადებების დაკლებულ ფასებში დაბეჭდვისათვის; „კახეთის", ალაზანის" და „მელაანის" ღვინის საწყობებს ღვინის შემოწირვისათვის, ყველა ზემო ჩამოთვლილ პირებს, რომელთაც შემოსწირეს წვლილი დ ყველა იმ პირთ, ვინც საღამოს უკეთმოწყობაში ხელი მოუმართა.

# უცხოეთი

## ინგლისი.

### მეფე და სუფრაჟისტი ქალები.

**ლონდონი.** ორი კვირის წინად სუფრაჟისტ ქალებმა მეფეს მიმართეს თხოვნით, რომ მათთვის აუდიენცია დაენიშნა; ამ აუდიენციაზე ისინი აპირებდნენ თავის მოთხოვნილებათა წარდგენას.

მეფემ უარი უთხრა, მაგრამ ამასთანავე წინადადება მისცა მათ მოთხოვნილება გაეგზავნათ შინაგან საქმეთა მინისტრის ხელით.

ქალებმა ამაზე უპასუხეს, რომ კანონებისა და 1793 წლის პრეცედენტის ძალით, მეფე ვალდებულია მიიღოს დეპუტაცია, რომელიც პოლიტიკურ უფლებებს ითხოვს. ამასთანავე სუფრაჟისტებმა მეფეს აცნობეს, რომ 8 მაისს ბუკინგემის სასახლეში მათი დეპუტაცია წარსდგება.

8 მაისს ბუკინგემის სასახლე და მის გარშემო მდებარე პარკი შემორტყმული იყო პოლიციელებით. სასახლის შესავალთან დარაჯად იდგა მეფის გვარდია. სასახლის ახლო-მახლო მდებარე ადგილები სავსე იყო სუფრაჟისტების მოპირდაპირე ქალების მიერ.

200 სუფრაჟისტ ქალისაგან შემდგარი დეპუტაცია გროსვენორის მოედანზე დაირაზმა. ყველანი შეიარაღებულნი არიან ჯოხებით, ჩაქუჩებით, ქვებით. პირველ რიგში დგას მათი ლიდერი ქ-ნი პანკჰერსტი. სასახლესთან შეგროვილი ქალები მათ სტვენითა და ლანძღვა-გინებით შეეგებნენ. შემდეგ გაიმართა მუშტიკრივი პოლიციელებსა და სუფრაჟისტებს შორის. რამდენიმე სუფრაჟისტმა შესძლეს სასახლეში შესვლა, სადაც მათ პოლიციელების სხვა რაზმები გადაეღობნენ წინ. ყველა მონაწილე დელეგაციისა შეიპყრეს. ბევრი მათგანი იმდენად სერიოზულად არის დაშავებული, რომ ისინი საკაცეებით გადაიტანეს საავადმყოფოში. სხვათა შორის, ძლიერ მძიმედაა დაშავებული ქ-ნი პანკჰერსტი. ქვედა პალატაში ამ ამბავმა დიდი მღელვარება გამოიწვია. ინგლისის კახოხები მოითხოვს, რომ პოლიცია არამც თუ არ უნდა უშლიდეს ხელს დემონსტრაციების მომხდენთ, არამედ ყოველი ღონისძიება უნდა მიიღოს მათ დასაცავად. დეპუტატი ვოდვუდი მთავრობას შეეკითხა, როგორ მოხდა, რომ მთავრობამ ზომები არ მიიღო, რათა დეპუტაციას თავისუფლად შესძლებოდა სასახლეში შესვლა. მაკკენამ ამაზე უპასუხა რომ მეფეს მისაღები დღე არა ჰქონდა და პოლიცია ვალდებული იყო ქალს თუ კაცს, სასახლეში მიმავალს გაუღობებოდა.

### ასკვიტი და ჰომრული.

**ლონდონი.** 8 მაისის სხდომა ქვედა პალატაში ძლიერ შფოთიანი იყო. ასკვიტმა განაცხადა: მიუხედავად იმისა, რომ ლორდთა პალატაში უკვე შეტანილია დამატებითი კანონ-პროექტი, მთავრობა უარს ამბობს მისი უმთავრესი დებულებათა გამოქვეყნებაზე. ო. ოპოზიციამ პროტესტი განაცხადა მთავრობის ასეთი საქციელის გამო.

რობერტ სესილმა კაბინეთის ასეთი მოქმედება პარლამენტის შეურაცხყოფად დასახა.—ასეთ სერიოზულ მომენტის დროს,—სთქვა მან—მთავრობა მხოლოდ იმაზე ჰფიქრობს, რომ როგორმე ხმები შეინარჩუნოს, და სახელმწიფოსაგან თავის განზრახვას ჰფარავს.

პროტესტის ნიშნად ოპოზიციამ წინადადება შეიტანა, რომ ჰომრულის მესამე კითხვა გადადებული ყოფილიყო. მაგრამ უმრავლესობამ ეს წინადადება უარჰყო.

მაშინ ოპოზიციამ სიმღერითა და ხმაურობით ობსტრუქცია გამართა კამათის ჩასაშლელად. თავმჯდომარემ კრება დახურა.

## გერმანია

### მთავრობა და რეიხსტაგი.

**ბერლინი.** რეიხსტაგში სოციალისტების ყოფა-ქცევის გამო „ვორვარტს" ამბობს:

— დემონსტრაცია მეფის პიროვნების წინააღმდეგ კი არ იყო მიმართული, არამედ რეჟიმისა.

ყველა გაზეთები ერთსულოვნად ჰკიცხავენ მთავრობას პარლამენტის ეგრე ნაჩქარევად დახურვისათვის და ამას წვრილმან ურისძიებად სთვლიან იმის გამო, რომ პარლამენტმა ზოგიერთი კანონ-პროექტი არ მიიღო.

# რუსეთი

### მე-2 სრულიად რუსეთის აღწერა.

ცენტრალურ სასტატისტიკო კომიტეტის დირექტორმა შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა სრულიად რუსეთის მეორე აღწერისა. აღწერის მუშაობა დასრულებული უნდა იყოს 1921 წლის 1 იანვრისათვის და მისი შესასრულებლად საჭიროა 11,368,427 მან.

### ეპისკოპოსი ანდრია და სამშობლო ენა.

სინოდის კანცელარიაში მიუვიდათ განკარგულება უფის ეპარქიის ეპისკოპოზ ანდრიასი (სოხუმის ოლქის ეპისკოპოზად ნამყოფი). ეპისკოპოზმა თავის ეპარქიაში განკარგულება მოახდინა, რომ არა რუსთა მრევლებში ღვთისმსახურება იმ ენაზე ხდებოდეს, რომელიც მრევლის უმრავლესობისათვის გასაგებია. აგრეთვე რომ ყველა კრებულმა, რომელსაც მრევლის უმრავლესობის ენა არ ესმის,—სხვა ადგილები მოსძებნონ მახლობელ დროს განმავლობაში.

### უმაღლესი კურსები.

სახალხო განათლების სამინისტრომ გადაათვალიერა ქალთა უმაღლეს სასწავლებლების გეგმები და შესაძლოდ დაინახა ისეთივე მოწმობების მიცემისა კურს დამთავრებულთათვის როგორც უნივერსიტეტში: 1) პეტერბურგში არსებულ უმაღლეს რაევის კურსებს და 2) ქალთა უმაღლეს კურსებს ხარკოვში.

# ღია წერილი

### ტფილისის მომხმარებელ საზოგადოება—„კეთილშობილები"-ს გამგეობას.

ამა წლის აპრილის 29 დღესა კერძო ლაპარაკის დროს გამგეობის წევრმა ვასილი აბრამოვმა გამომიცხადა, რომ მე საზოგადოების კრების დადგენილებით დათხოვნილი ვარ ამხანაგობის შემადგენლობიდან და დამიბრუნა ჩემ მიერ შეტანილი საპაიო გადასახადი. როდესაც შევეკითხე: როდის იყო საზოგადო კრება, ან რა იყო მიზეზი ჩემი დათხოვნისა და ვთხოვე ეჩვენებინა ოქმი და განაჩენი ამ კრებისა, მიპასუხა:—ჩემი ნებაა და არ გეტყვი და არც ოქმს გიჩვენებო, თუმცა ოქმი ამ ჟამად ჯიბეში მაქვსო და დაუმატა: „მე ასე მსურს და საცა გინდა იქ მიჩივლეო."

ამიტომ ვთხოვ პატივცემულ საზოგადოების გამგეობას განმიმარტოს თუ რამდენად მართალია ბ-ნ აბრამოვის განცხადება. თუ მართლა იყო კრება ჩემი დათხოვნის შესახებ, რატომ არ მაცნობეს, რომ მესარგებლა წესდების 21 მუხლით, და თუ ასეთი კრება და დადგენილება არ ყოფილა, რა უფლება ჰქონდა ბ-ნ აბრამოვს მთელი საზოგადოების სახელით ლაპარაკის, როდესაც მას არავითარი დავალება არ ჰქონდა საზოგადოებისაგან.

**გ. ბეჟიაშვილი.**

# წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ „სახალხო გაზეთი"-ს საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო ბ. სიმონ მერაბისძეს კვიტაშვილს, რომელმაც უყურადღებოთ არ დასტოვა ჩვენი თხოვნა და ბაქოელ რაჭველთა შორის შეაგროვა სამოცდა-ერთი მანათი (61 მ.) რაჭის ახლად გახსნილ ქ. შ. წ. კ. გ. ს. განყოფილებისათვის.

სია შემომწირველთა: ს. მ. კვიტაშვილმა 15 მან. ვ, პ. ყიფიანმა 15 მ., ვ. ს. ლანდიამ 10 მ., ა. ლ. გოცირიძემ 5 მ., ი. ვ. კაციტაძემ 5 მ., პ. ს. ლანდიამ 5 მ., ლ. ლ. გოცირიძემ 3 მ., რ. ს. ნავლიშვილმა 3 მ., ღრმა მადლობასა ვსწირავ ბ. შ. შემომწირველთ. იმედია, სხვა და სხვა მხარეში მყოფი რაჭველობა წაჰბაძავს ამათ სიმპატიურ მაგალითს და მით ხელს შეუწყობს ნორჩ კულტურულ დაწესებულების წინსვლასა და გაძლიერებას.

ყოველივე წვლილი დიდის მადლობით იქნება მიღებული.

შემოწირულების გამოგზავნა შეიძლება დ. ონში, გინდ პირადათ ჩემ სახელზე, გინდ განყოფილების გამგეობის სახელზე.

**მღვდელი ლონგინოზ კვაკვიძე.**

# დღეს

**ქართულ თეატრში**—ი. ევდოშვილის საღამო.

**სახაზინო თეატრში**—„Chat Noir-"ის წარმოდგენა: გრ. ლავჩენკის ბენეფისი.

**არტისტიულ საზ. თეატრში**—ნ. ი. ტამარას პირველი გასტროლი: „მომღერალი ჩიტები"

რედაქტორი **ნ. ქურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

ჯანსაღი და ლამაზი

კაცი ჩვენს დროში ამ სიცოცხლით უსაჭიროესს ღირსებისათვის უპირველესად უნდა უმადლოდეს სხეულის წესიერ მოვლას. სიფაქიზეს ამ საქმეში უპირველესი მნიშვნელობა აქვს, როდესაც ხოლერა, სახადი, ყვავილი, ათაშანგი და სხვა ეპიდემიად იქცევა, უალრესი სიფაქიზე საუკეთესო წინასწარი საშუალებაა რომ სნეულება არ გადავედოთ. თუ კი დაბანისა, ბანაობასა და განსაკუთრებით კი ყოველ პურის ჭამის წინ ხელების დასაბანად იხმარებთ

კარბოლის საპონი № 4711,

კარბოლის საპონს № 4711 (მისი ხმარების დარიგება რუსულად და გერმანულად). ერთი ნაჭერი ორი შაური,—ნამდვილი, კანონის მიერ უზრუნველყოფილი № 4711. მზადდება № 4711 კარბოლის საპონი მეცნიერების მიხედვით საგანგებოდ შერჩეულ ინგრედიენტებისაგან და მუდამ სპეციალისტ-ფარმაცევტების მეთვალყურეობით.

აგრეთვე გირჩევთ № 4711 კუპრის საპონს, № 4711 სულემას საპონს.

გასასყიდად იშოვება ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიებში.

ერთად-ერთი მექარხნე ფ. მიულგენს კელ. ნ./რ. რიგა.

№ 4711. კარბოლის საპონი.

Метцль. 164507. 1185

# მატარებლების მიმოსვლა

18 აპრილიდან.

### ტფილისიდან გადის:

(დრო ნაჩვენებია ტფილისის საათით).

**ბაქოსაკენ:** ნარევი № 22,—4 ს. 58 წ. შუაღამ.; სამგზავ. № 12,—4 ს. 5 წ. დღის.; სამგზავ. № 8,—6 ს. 25 წ. საღამ.; ჩქარი № 6,—12 ს. 8 წ. შუადღ.; ხაფოსტო № 4, 10 ს.—20 წ. საღ.

**ბათუმისაკენ:** ნარევ. № 21—2 ს. 59 წ. შუაღამ.; სამგზავრო № 9,—8 ს. 53 წ. საღამ.; სამგზავ. № 7,—2 ს. 18 წ. დღ.; ჩქარი № 5,—8 ს. 16 წ. საღ.; ხაფ. № 3,—9 ს. 54 წ. დილით.

**ბორჯომისაკენ:** სამგზავ. № 17/18,—7 ს. 28 წ. დილ.; სამგზავ. № 19/20,—3 ს. 20 წ. დღით.

**მცხეთისაკენ:** საგარაკო № 61,—8 ს. 23 წ. დილ.; საგარაკო № 63,—2 ს. 38 წ. დღისა.

### ტფილისში მოდის:

**ბათუმიდან:** ნ. რ. № 22,—3 ს. 55 წ. ღამ. სამგზავ. № 10,—9 ს. 51 წ. დილ.; სამგზავრო № 8,—5 ს. 53 წ. საღ.; ჩქარი № 6,—11 ს. 8 წ. დღ.; ხაფ. № 4,—9 ს. 30 წ. საღ.

**ბაქოდან:** ნარევი № 21,—2 საათ. 17 შუაღამ.; სამგზ.-საგარ. № 9,—10 ს. 5 წ. დილ., სამგზავ. № 7,—1 ს. 42 წ. დღით, ჩქარი № 6,—7 ს. 41 წ. საღამ.; ხაფ. № 3,—8 ს. 58 წ. დილ.

**ბორჯომიდან:** სამგზავ. № 17/18,—10 ს., 28 წ. საღ.; სამგზავ. N 19/20,—7 ს. 25 დილ.

**მცხეთიდან:** საგ. № 62,—12 ს. 18 წ. დღ.; საგ. № 63,—8 ს. 48 წ. საღ.

ქუთაისში
თბილისში
1208

# უფასო საექიმო დახმარება

### ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 გ. ა. გედევანიანი (სდგას ვერა-ზე, თელავის ქუჩა, 22, ტელეფ. 592)
3—4 მ. ი. შავერდოვი (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 ტ. მ. თათეოსიანი (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 პ. ლ. კიკალიშვილი (ავლაბარი, კახეთის ქ. № 2, ტელეფ. 15—27).
8—9 ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი (ბეჰნინის ქ., № 23).
10, 11—12 ა. გ. ტერ-ნიკოღოსოვი (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 985).

# სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1—2 მ. ფომინა-ოსიპოვისა (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში ქ-რ. ლ. ქალანთაროვი (სოლოლაკი, ამაღლების ქ ტელ. 517).

5—6 ა. მ. ზაბლუდოვსკი (გრიბოედოვსკი, 10, ტელ. 645).

7—8 ნ. დ. ხატიხოვი (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 გ. თ. ნათიშვილი (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 ვ. ა. მირაბიანცი (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და გვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ. ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის საგუშაგო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 58 და შალაკის მოედანზე.

ექიმ ნავასარდიანი
პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დილით:
„606" და „914"
11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბებახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ზ. ი. ბაბახოვი: 10—11 ს. [illegible] ქალებისა და ბავშვებისა.
გ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. ბ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ავადმყოფობა და ყმაწვილის აცრა.
ექიმი ქალი თ. გ. ტერ-დავიდოვისა—2 ს. [illegible] და ქალების ავადმყ.

საღამოთ:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის ფასად, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
1171

წაღვერი
(ბაკურიანის რკინის გზა. ბორჯომიდან 12 ვერსზე)
10 ივნისიდან გაიხსნება პანსიონი „ანკარა"
ელისაბედ მღებრიშვილისა

პანსიონი მოთავსებულია ახლად აგებულ საკუთარ შენობაში, მაღლ და განცალკევებულ სუფთა ადგილას, ფიჭვ-ნაძვნარში. პანსიონი შესდ ბა 40 ოთახისგან, პანსიონთან იმყოფება ექიმი, საგანგებოდ გამოყვანი წყარო, იქნება ვანები, გასართობები, პიანინო და სხვა. სახლიდან მ საუცხოვო სანახაობა.

პირობების გაგება შეიძლება 10 ივნისამდე გრიბოედოვის ქუჩაზე № მესამე სართული და 10 ივნისის შემდეგ კი—წაღვერში.



გამოვიდა და იყიდება ყველა წ მაღაზიაში ახალი სალიტერატ სამეცნიერო კრებული
1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქიძ
2. სუმერული და ქართული, მ. წერეთ
3. ოიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნ პ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვ
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე.
ფასი 1 მანეთი.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით ინჟ. მ. ნ. ვ გრადოვის
ტფილისის საპოლიტეხნიკო კურსებ
არსდება მოსამზადებელი კურსები საშუალო სასწავლებლების ყველა სებში და ყველა სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლ სპეციალურად მომზადება სამიწისმზომლო და სამხედრო სასწავლ ბისა და საოსტატო ინსტიტუტში. კურსების კანცელარიაში ცნობ მიღება შეიძლება დღის 9—12 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.
1207

ექიმი ვ. მუსხელიშვილი
მიიღებს ავადმყოფ. დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე.
გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

იყიდება
საგარაკო ადგ
კოჯორს ახლო „კიკეტში" ოთხკუთხი საჟენი. პირობის გ შეიძლება რიყის ქუჩაზე (ცხ თებერვლის ქუჩა) № 15.

ტფილისის საპოლიტექნიკუმო კურსები
ინჟენერის მ. ნ. ვინოგრადოვისა
განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი
განყოფილებანი: სამიწისმზომლო, სამშენებლო და სასოფლო-მეურნეობისა.
პირველ სემესტრზე გამოუცდელად მიიღებიან სამოქალაქო სასწავლებელში კურს ვრებულნი 1872 წ. დებულების მიხედვით, ანუ ამ სასწავლებლის სადარი კურსი ლისა. სამიწისმზომელო კურს დასრულებულთ გამოცდ. სამართველო, საჭიროების ჰნიშნავს მიწის მომწყობ კომისიის მიწისმზომლის თანაშემწის კანდიდატად (გამგ მართ. ცნობა 1914 წ. 22 თებერვ. № 1072). სამიწისმზომლო განყოფილების კურ წლიანია, სამშენებლო და სოფლის მეურნეობისა ორწლინახევრიანი.
პროსპექტები იგზავნება 30 კ. მარკის გამოგზავნისათანავე, ტფილისი, პუშკინის № 8. ტელეფ. 10—30.
1197

თეგზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

განყოფილ
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების
საკუთარ სახლში.
იყიდებ
იმავე ხარისხის
საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზ



იშვიათი შემთხვევა აღტაცებისა!

ჩვენის ნივთების ხილვით განცვიფრდებით, როდესაც ნახავთ თუ რა იაფ ფასებს ვაძლევთ და როდესაც დარწმუნდებით ჩვენის საქონლის ღირსებაში.

მხოლოდ 4 მ. 95 კ.-ად ვგზავნით შემდეგ წყებას ძვირფას და სასარგებლო ნივთებისას: 1. საუცხოვო უბის საათი ნამდვილ შავ ნაწრთობ ფოლადისა მოდური, ძალიან თხელი, იმართება ზუსტად 40 საათში ერთხელ, ნამდვილი ანკერია, ქვებიანი ან ქალებისა—ცილინდრი, შემოწმებული წუთი-წუთ, უტყუარად სწორედ მომუშავე, 6 წლის თავდებობით. 2. მოოქროვილი მოდური ძეწკვი ორკეცი ნამდვილი „დუბლის" ლითონისა, კოხტა მოყვანილობისა. 3. მეტის-მეტად საგულისხმო ბრელოკი; 4. საათისათვის მეშია ბუდე; 5. საზღვარ-გარეთული ტყავის საფულე 6 განყოფილებანი და მექანიკურის საკეტით საუცხოვო პარიზული ხელობისა; 6. კაუჩუკ-შტემპელი, დამკვეთელის სახელითა, მამის სახელითა და გვარით; 7. საათის დამცველი ჯიბგირებისაგან; 8. მშვენიერი ნამუშევარი სათეატრო ბინოკლი, 4 ახრომატიულის შუშით, რომელიც საგნებს მეტად შორი მანძილიდან აახლოვებს; 9. სტერეოსკოპი ცოცხალი პანარამა, რომელიც ისე აჩვენებს, როგორც სინამდვილეშია; 10. ამისათვის მეტის-მეტად საგულისხმო 6 სურათი; 11. მოოქროვილი ს. ჩუქარი ქალებისათვის, დუბლე ოქროს ბეჭედი ფრანგულ ბრილიანტით, ასეთივე ბროშკა, და ერთი წყვილი საყურე ახალ-მოდური მრავალ ლობისა; 12. შინაური სასტამბო, 100 კაუჩუკის ასოთი და ციფრებით, თავისი ხელით აბეჭდავად, რაც აუცილებელია ყოველი ოჯახისათვის; 13. ჯიბის სატარებელი ბიქელი საჭერი ოჭკობილობ.; 14. ჯიბის ტუალეტი ნესესერი 2 საგულისხმო და აუცილებელი თით; 15. უკანასკნელი ახალი რამ: რევოლვერი, მუდამ ჯიბით სატარებელი 16. საგულისხმო წიგნი თვალთმაქცობისა, თანამედროვე 100 ოინებით, მთელი ფასი 4 მ. 95 კ., 2 წყებისა—9 მ. 30 კ. ასეთივე წყება საუკეთესო ღირსების და უმ ხარისხის ნივთებით—5 მ. 70 კ., ასეთი 2 წყება—10 მ. 80 კ. თითოეული წყება ვიანის საათით 1 მანეთით მეტი ღირს.

გირჩევთ დაბაროთ უმაღლესი ხარისხისა, რადგანაც ფასში განსხვავება მცირეა, ბაში კი უდიდესი. ვგზავნით ფასდად. და უბეოდ. გამოსაგზ. არის 45 კ. (ციმბირში

მისამართი: Т—во „Патентъ", Варшава, Св. Креста, отд. 127.

Метцль. 29510

ტფილისი, სტამბა „შრომა", მუხრანის ქუჩა. ტელეფონი № 14—42.